# საქართველოს რესპუბლიკა

საკვირაო გამოშვება

კვირა, 2 მარტი, 1997 წელი. №50 (2423)

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესასწაული

## 3 მარტი დედის დღეა




## ყვავილები დედისათვის

3 მარტი დედის დღეა. ცოტა მეხამუშება კიდეც ასეთი დღის საგანგებოდ გამოყოფა. ასე მგონია (და არა მარტო მე), რომ ყოველი დღე დედისაა, დედის სითბო თან გვახლავს ბავშვობასა თუ სიჭაბუკეში, სიჭარმაგესა და, გნებავთ, სიბერეშიც და „დედას გეფიცებიო“ რომ იტყვის პატიოსანი კაცი, იმას წყალი არ გაუვა (ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა უმეტესობა ასე ფიქრობს).

ვიდრე დედა ცოცხალი გყავს, არა მარტო ბედნიერი ხარ, არამედ ასაკსაც ვერ გრძნობ, დედა გყავს და იმიტომ. „შენ გენაცვალოს დედა, მოხვედი შვილო?“ – შეგეგებება დედის ხმა შინ მისულს და დაგავიწყდება ამ ათასგვარი კატაკლიზმებით დამძიმებულ დროში ზოგჯერ უმიზეზოდ მოყენებული გულისტკივილი, შეურაცხყოფა, ადამიანების სისასტიკე და დაუნდობლობა, ულირსი საქციელი... მაგრამ, ახლა, არა ღირს ამაზე სიტყვის გაგრძელება...

იხ. მე - 3 გვ.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

1 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ძალოვანი და მაკონტროლებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით განსაზღვრულ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნებთან დაკავშირებით. აგრეთვე, იმსჯელეს აფხაზეთში გენოციდსა და ეთნიკურ წმენდაში დამნაშავე პირთა საერთაშორისო სასამართლოში გადაცემისთვის განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე.

სხდომაზე განიხილეს საკითხი საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღის აღნიშვნის შესახებ.

მოისმინეს ინფორმაცია სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

გაიმართა მსჯელობა „საქართველოს მოქალაქეობის“ კანონში ცვლილებების შეტანის და „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე კანონპროექტი „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, დებულება „საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ“, ასევე საკითხები საქართველოს საავიაციო პარკის მდგომარეობის, მისი გამოყენების პერსპექტივისა და ავიაკომპანიების ფუნქციონირების უზრუნველყოფის გზების და საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს სპეციალური კავშირის სამსახურის დებულების თაობაზე.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

## კავკასიის ეკოლოგიური ქარტიისათვის

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია გამოვიდა ინიციატივით მოიწვიონ კავკასიის ხალხების ეკოლოგიური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის პარლამენტების წევრები, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა ხელმძღვანელები, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. ფორუმზე დაამუშავებენ და მიიღებენ კავკასიის ეკოლოგიურ ქარტიას.

პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიეი გიგინეიშვილის მეთაურობით შეიქმნა ქართული საინიციატივო ჯგუფი. დაწყებულია მოლაპარაკება გაერთიანებული ორგკომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით, ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. ფორუმის გამართვას წლეულს, ივლისისათვის ვარაუდობენ.

## რუსეთს ხელიდან ეცლება ქვეყნები დსთ-ში

რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა ვალერი სეროვმა, რომელიც თანამეგობრობის საქმეებს უძღვება, რუს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე აღიარა, რომ რუსეთი კატასტროფულად კარგავს გავლენას თანამეგობრობის ქვეყნებში. კერძოდ, მისი საკრედიტო ინექციები ამ ქვეყნების საკრედიტო რესურსების საერთო მოცულობაში შეადგენს ჭეშმარიტად სასაცილო ციფრს — 0,5 პროცენტს. დსთ ქვეყნებთან დადებულია 800-ზე მეტი შეთანხმება, მაგრამ მათი მეათედიც კი ვერ მოქმედებს ეფექტიანად. შარშან რუსეთს დსთ ქვეყნებისაგან მათი ვალის დაფარვის ანგარიშში მიუღია 3 ტრილიონი რუბლი. რა მოხდება, თანამეგობრობის ქვეყნებმა მთლიანად რომ გაგვისტუმრონ ვალი? მაშინ ხომ აღარ დაგვრჩება მათზე ზემოქმედების არავითარი ბერკეტი? — კითხულობს ვალერი სეროვი და განაგრძობს — ჩვენ თანამეგობრობის ქვეყნებში მივდივართ იმისათვის, რომ განვავითაროთ მათი რესურსები, ხოლო დასავლეთის კაპიტალი — იმისათვის, რომ კონტროლი გაუწიოს მსოფლიო ბაზრებს და გვიკარნახოს თავისი ფასები.

ჩვენ ვიბრუნებთ ვალებს და ვინარჩუნებთ ჩვენს კაპიტალს თანამეგობრობის ქვეყნებში, ისინი კი იცილებენ ვალის ტვირთს და იღებენ სამუშაო ადგილებს.

ვერავითარი ეკონომიკა ვერ გაუძლებს იმას, რასაც ჩვენ აქამდე ვუძლებდით, თქვა ვიცე-პრემიერმა, შეეხო რა ჩრდილოეთის განვითარების მოძველებულ სტრატეგიას. ონექსიმბანკის სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს, რომ გაცილებით უფრო იაფი დაგვიჯდება, ნორილსკის ნახევარ მოსახლეობას დავურიგოთ 20-20 ათასი დოლარი და ჩამოვიყვანოთ მოსკოვში, ვიდრე იქ ვარჩინოთ. ჩრდილოეთი სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე ზის და ამასთან თვითონ არის სადოტაციო. ჩრდილოეთიდან ადამიანთა ნახევარი მაინც უნდა გადავასახლოთ სხვა რეგიონებში და გადავიდეთ მუშაობის სავახტო მეთოდზე.

იმ ბაზრებს, რომლებსაც რუსეთი ჰკარგავს, მაშინვე იკავებს საზღვარგარეთული კაპიტალი, მაგალითად, თანამეგობრობის ბაზრებზე უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში გაიყიდა ორადორი ტუ-154 თვითმფრინავი. ამავე დროს იგივე ქვეყნებში რეალიზებულია და ლიზინგით არის გადაცემული 48 „ბოინგი“, თანაც მოძველებული — 1968-1972 წლების გამოშვებისა.

აი, ასე ჰკარგავს რუსეთი გავლენას თანამეგობრობის, და არა მარტო — თანამეგობრობის ქვეყნებში, განაცხადა რუსეთის ვიცე-პრემიერმა ბიზნესმენებთან VIP-კლუბში გამართულ შეხვედრაზე.

## ინფორმაცია

### ფასები, ფასები

„იბერიის“ ცნობით, 14-25 თებერვლის პერიოდში, სამომხმარებლო ბაზარზე აღინიშნა ფასების უმნიშვნელო ზრდა. სასურსათო საქონელი გაძვირდა 0,4 პროცენტით, ხოლო ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი 0,15 პროცენტით გაიზარდა. არასასურსათო საქონლის ფასები და მომსახურების ტარიფები უცვლელი დარჩა. ფასების ინდექსის ჯამური მაჩვენებელი 0,4 პროცენტით გაიზარდა.

### გაუქმდება ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს ეროვნული ბანკიდან აცნობეს, რომ პირველი მარტიდან საქართველოს ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელმა პუნქტებმა შეიძლება იმუშაონ მხოლოდ და მხოლოდ კომერციულ ბანკებში, ან კაპიტალურ შენობებში. ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები გაუქმდება და ახალი ლიცენზიები გაიცემა მხოლოდ ეროვნული ბანკის მიერ.

## უკანასკნელ საათს



ჩელიაბინსკი. რუსეთის უშიშროების საბჭოს ყოფილმა მდივანმა, გადამდგარმა გენერალმა ალექსანდრე ლებედმა აქ ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე გამოსვლისას პირდაპირ განაცხადა, რომ იგი იწყებს წინასაარჩევნო კამპანიას, რათა „ლეგიტიმური გზით დაიკავოს პრეზიდენტის პოსტი“ და იხსნას ქვეყანა.

* * *

მოსკოვი. აქ აღინიშნა ცნობილი ჟურნალისტის ვლადისლავ ლისტევის დაღუპვის მე-2 წლისთავი, რომელსაც რუსეთის OPT, PTP და HTB ტელეკომპანიებმა ერთობლივი გადაცემა მიუძღვნეს. იმ დროს, როდესაც რუსეთში წლის მანძილზე საშუალოდ 600 შეკვეთილი მკვლელობა ხდება, განაცხადა OPT-ს ახალი ამბების გამოშვებაში ჟურნალისტმა სუხოვმა, გენერალური პროკურორი სკურატოვი და შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიცე-პრემიერი კულიკოვი ატყუებენ ხალხს, რომ კრიმინოგენული ვითარება გაუმჯობესდა.

* * *

პეტერბურგი. გუშინ აქ გაიმართა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ასამბლეის სხდომა, რომელზეც ამ ასამბლეის საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს, ერთი წლის ვადით, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარე, 60 წლის ეგორ სტროევი.

* * *

თეირანი. ძლიერი მიწისძვრა მოხდა ჩრდილოეთ ირანსა და სომხეთის სამხრეთ ნაწილში. რიხტერის სკალით 6-ბალიანმა მიწისქვეშა ბიძგმა, რომლის ეპიცენტრი ქ. არდებილში მდებარეობდა, გამოიწვია ნგრევა 60-ზე მეტ სოფელსა და რამდენიმე ქალაქში. მსხვერპლის რაოდენობა დგინდება. წინა ძლიერმა მიწისძვრამ, რომელიც აქ 1990 წელს მოხდა, 30 ათასი კაცი იმსხვერპლა.

* * *

ვლერა. ალბანეთის ამ ქალაქში, სადაც რამდენიმე კვირას მიმდინარეობდა ბანკების მიერ მოტყუებულ მეანაბრეთა მრავალათასიანი გამოსვლები, გუშინ ხალხმრავალი მანიფესტაცია შეიარაღებულ ამბოხებად გადაიზარდა. აჯანყება პროვოკაციულად გამოიწვიეს ტირანადან ჩასულმა აგენტებმა. ამბოხებულებმა ხელში ჩაიგდეს ავტომატები და ტყვიამფრქვევები, ბარიკადებით გადაკეტეს ქალაქის მისასვლელი გზები.

წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 9 და დაიჭრა ათობით კაცი. ვლერა გარე სამყაროს არის მოწყვეტილი.



## სიმართლე კი ასეთია

25 თებერვალს გაზეთმა „რეზონანსმა“ დაბეჭდა წერილი ქართველ სამართალდამცავთა საქმიანობაზე, უფრო სწორად, 1996 წელს საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში არსებულ მდგომარეობაზე...

1997 წლის 30 იანვარს აშშ-ს დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და შრომის ბიუროს, „ემნესთი ინტერნეიშნლისა“ და „ჰუმან რაით უოთჩის“ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფო დეპარტამენტისთვის წარუდგენია მოხსენება, რომელშიც დაფიქსირებულია უამრავი დარღვევა.

მოხსენების ავტორებს ერთ-ერთ მაგალითად მოჰყავთ ის, რომ ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმაში მონაწილეობის ბრალდებით დაკავებულთა სასამართლო, 15 თვის გასვლის მიუხედავად, ჯერაც არ დაწყებულა და არც არის ცნობილი მისი დაწყების თარიღი.

ამ ფაქტის კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს, ცნობილი ტერორისტული აქტების საგამოძიებო ჯგუფის წევრს გიგლა აგულაშვილს.

# 70 წლის ჯაბა იოსელიანი 51-ე ტომს კითხულობს, 36 წლის თემურ ხაჩიშვილი მხოლოდ - 33-ე ტომს

— „რეზონანსში“ გამოთქმულ „ბრალდებას“, ზოჯერ სხვა გაზეთებში დამატებითი „ბრალდებებიც“ „ამღიდრებენ“: — თითქოსდა გამოძიება სპეციალურად ჭიანურდება, თითქოსდა გამოძიებამ ვერ შეაგროვა საკმაო მტკიცებულობები, ან რაც შეაგროვა, ისინიც მოიპოვა უკანონო გზით — ძალადობით, ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებით... გვისაყვედურებენ იმასაც, თითქოს ვერ მოვახერხეთ ასეთი დიდი საქმის (57 ტომია) ქსეროასლის გადაღება, რათა არ გახანგრძლივებულიყო საქმის გაცნობა და სხვა და სხვა. მაგრამ ყველა ეს „ბრალდება“, არსებითად მცდარია.

**— ბატონო გიგლა, ოპონენტებთან საუბარი უფრო მომგებიანია მაშინ, როცა იგი კონკრეტულია, ჩვენი დიალოგიც ასე წარვმართოთ...**

— კი ბატონო. როცა მავანნი და მავანნი ლაპარაკობენ ადამიანის უფლებების დარღვევებზე, უმჯობესია ჯერ ჩაიხედონ ჩვენს სადღეისო საპროცესო ნორმებში, როგორც ჩანს, საჭიროა მათ დაწვრილებით განვუმარტოთ საპროცესო ნორმების მოთხოვნები.

თემურ ხაჩიშვილის, ჯაბა იოსელიანის, გიგა გელაშვილის და სხვათა სისხლის სამართლის საქმე (№7495911) აღიძრა 1995 წლის 29 აგვისტოს. გამოძიებისთვის კანონით დაწესებულია ვადა — 9 თვე. გამოძიება დავამთავრეთ 1996 წლის 10 მაისს — 19 დღით ადრე. იმავე 10 მაისს გამოძიების დამთავრება გამოვუცხადეთ დაზარალებულებს. ამასაც საპროცესო ნორმა ითვალისწინებს. მათი უფლებაა გამოძიების მასალებს გაეცნონ მთლიანად, ნაწილობრივ, ან, საერთოდ, არ გაეცნონ; მათ ასევე უფლება აქვთ წარმოადგინონ შუამდგომლობები, ითხოვონ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება... ამ კონკრეტულ შემთხვევაში დაზარალებულებს შუამდგომლობები არ წარმოუდგენიათ. ამიტომაც მათთან „ურთიერთობა“ სწრაფად დამთავრდა.

**— ვინ არიან ეს დაზარალებულები? ზოგს ჰგონია, რომ დაზარალებული მხოლოდ ბატონი ედუარდ შევარდნაძეა...**

— ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად მხოლოდ 1995 წლის აგვისტოს ტერორისტული აქტის მცდელობის ეპიზოდში დაზარალებულია 41 კაცი: ვახტანგ რჩეულიშვილი, პეტრე მამრაძე, მერაბ ბოგვერაძე... რუსთავის 1995 წლის 3 მარტის ცნობილ ეპიზოდში დაზარალებულია ლევან მამალაძე, ქართლოს ძელური... დაზარალებულთა შორის არიან 1993 წელს ზუგდიდსა და ზუგდიდის რაიონში „მხედრიონის“ ბანდიტური თავდასხმების შედეგად გაძარცულ-გადაბუგული 83 ოჯახის წარმომადგენლები... დაზარალებულია ირინა სარიშვილი, ემზარ ბახტაძე, ზურაბ კვიცინაძე, გია ყარყარაშვილი... მაპატიონ, ყველას ჩამოთვლა, ალბათ, არც მოხერხდება...

**— ეს საინტერესოა, მაგრამ მაინც ჩვენს მთავარ თემას ოდნავ გადავუხვიეთ, მოდით, ისევ დავუბრუნდეთ საპროცესო ნორმებს. დავა ხომ ამაზეა...**

— დიახ, ამაზეა. ცხადია, გამოძიებამ ბრალდებულებსაც უნდა გამოუცხადოს გამოძიების დამთავრების შესახებ. და ჩვენ ეს მათ ვაცნობეთ 15 მაისს. ვადა არც აქ დაგვირღვევია. ბრალდებულებს განვუმარტეთ თავიანთი უფლებებიც. საქმის მთელი მასალა მათ წარვუდგინეთ აკინძული და დანომრილი სახით. მათვე უნდა წარედგინოთ, თუკი არსებობს — ვიდეო და აუდიო მასალაც. ამის შემდეგ ბრალდებული თავად გადაწყვეტს, — რა ზომით გაეცნოს მასალას — მთლიანად, ნაწილობრივ, ცალკე, თუ ადვოკატთან ერთად და ა. შ. ჩვენ 14-ივე ბრალდებულს წარვუდგინეთ საქმის ყველა მასალა. არის დედანიც და არის ქსეროასლიც. ამჟამად ბრალდებულები ეცნობიან საქმის მასალებს. ეცნობიან მათი ადვოკატებიც. ისინი აკეთებენ ჩანაწერებსაც. ხანდახან ქსეროასლს ადარებენ დედანს, ხელახლა თხულობენ ერთხელ უკვე გაცნობილ ტომს. ესეც მათი უფლებაა.

**— დგინდება თუ არა ბრალდებულების მიერ საქმის მასალათა გაცნობის ვადა?**

— არა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლი ამბობს: „ბრალდებულს და მის დამცველს არ შეიძლება შეეზღუდოთ საქმის ყველა მასალის გასაცნობად საჭირო დრო“. და ეს სწორიც არის. ზოგჯერ ერთია ბრალდებული, ზოგჯერ — ათი. ზოგჯერ ორი ტომია, ზოგჯერ — ოცი. ზოგი სწრაფად კითხულობს მასალას, ზოგი — ნელა. აბა, ვადას როგორ დააწესებ.

**— ასე შეიძლება წლობით გაგრძელდეს საქმის მასალების გაცნობა. 14 ბრალდებული, 57 ტომი...**

— თუ ბრალდებული აშკარად, ყველასთვის მისახვედრად აჭიანურებს საქმის მასალების გაცნობას, მაშინ გამომძიებელს უფლება აქვს, — პროკურორის მიერ დამტკიცებული მოტივირებული დადგენილებით, — საქმის მასალების გასაცნობად დააწესოს განსაზღვრული ვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმის მასალების გაცნობის შესახებ კანონის მოთხოვნა შესრულებულად ჩაითვლება და ბრალდებულს საქმის მასალები აღარ მიეწოდება.

**— საქმის მასალების გაცნობის მხრივ კონკრეტულად რა ვითარებაა დღეს?**

— ბრალდებულთა უმეტესობა თითქმის სრულად გაეცნო საქმის მასალებს. გელა პაპუაშვილი, მაგალითად, უკვე ეცნობა 52-ე ტომს, ჯაბა იოსელიანი — 51-ე ტომს, გიგა გელაშვილი მე-40 ტომს... ეს არა უშავს, ნორმალური ტემპია. მაგრამ... მასალების გაცნობას აჭიანურებდნენ ნიკა კვეზერელი, [illegible] თემურ ხაჩიშვილი სადღეისოდ მხოლოდ 33-ე ტომზეა. პარადოქსია, არა? — 70 წლის ჯაბა იოსელიანმა 51-ტომი წაიკითხა, 36 წლის თემურ ხაჩიშვილმა კი მხოლოდ — 33. როგორც ხედავთ, ხაჩიშვილი არ ჩქარობს. მე მას პირადად რამდენჯერმე შევხვდი. გავაფრთხილე, რომ აჭიანურებდა საქმის მასალების გაცნობას და დავუწესებდი ვადას. თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, გამოძიება იძულებული გახდება, რომ გამოიყენოს საპროცესო ნორმით მინიჭებული უფლება.

**— რატომ არ დააწესეთ ეს ვადა აქამდე? ეს ამბავი აგერ უკვე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისთვის მოუხსენებიათ. გამოდის, რომ ბრალი უსაფუძვლოდ გედებათ...**

— გამოძიება დაინტერესებულია ჭეშმარიტების დადგენით. გვინდა, რომ თითოეული ბრალდებული გაეცნოს საქმის მთელ მასალას. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას და არა, პირიქით. გამოძიება „ჩაეტია“ 9 თვეში. რატომ ვერ „ჩაეტივნენ“ ასევე 9 თვეში ბრალდებულები? ისინი არ იძიებენ, მხოლოდ კითხულობენ. და ამაში მავანნი გამოძიებას ადანაშაულებენ? ეს ხომ აბსურდია...

**— მაშასადამე, ჯერ ბრალდებულები და მათი ადვოკატები საქმის მასალას მთლიანად არ გასცნობიან და სასამართლოც ამიტომ არ იწყება...**

— რა თქმა უნდა. გამოძიებას ბრალი დაედება მაშინ, თუ იგი დაარღვევს საპროცესო ნორმებს, ბრალდებულებს, მათ ადვოკატებს მთლიანად არ გააცნობს საქმის მასალებს. საქმის გაცნობის შემდეგ ბრალდებულებმა და მათმა ადვოკატებმა უნდა წარმოადგინონ შუამდგომლობები. ეს შუამდგომლობები ჯერ არ წარმოუდგენიათ. მაშ, რის საფუძველზე უნდა დადგინდეს სასამართლოს დაწყების თარიღი?

ამის გარკვევა „რეზონანსსაც“ შეეძლო ტელეფონის ერთი ზარით. მაგრამ... სამწუხაროდ, ეს ზარი არ გაისმა...

ესაუბრა
**ბადრი იაშვილი.**

## საშიშია?

# ვნახოთ, რას იტყვის დიდი აკადემია

გენური ინჟინერია გენეტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის საფუძველზე აღმოცენდა. გამოკვლევების საფუძველზე ცხადი ხდება, რომ იგი მემკვიდრული ფაქტორების — გენების ერთი ორგანიზმიდან მეორეში გადატანას გულისხმობს, ახალ ორგანიზმში მოხვედრისას კი შესაბამისი ცილის სინთეზს იწვევს.

ბოლო დროს პრესაში იბეჭდება საქართველოს მწვანეთა მოძრაობის მასალები, რომელიც გენური ინჟინერიით მიღებული, კოლორადოს ხოჭოს მიმართ გამძლე, უვირუსო კარტოფილის მოყვანას ეხება. მათი აზრით, აღნიშნული კარტოფილი ადამიანის ჯანმრთელობისათვის მეტად საშიშია და უნდა განადგურდეს.

შარშან, ივნისში საქართველოში შემოიზიდა 148 ტონა სათესლე კარტოფილი, რომელიც თეთრიწყაროს, წალკისა და ასპინძის რაიონებში დაითესა: ამჟამად სამივე რაიონში საცავებში ინახება მოწეული 600 ტონა სათესლე კარტოფილი.

როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში ჩვენს კორესპონდენტს აცნობეს, სამინისტრომ სთხოვა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას განეხილა აღნიშნული საკითხი და შესაბამისი დასკვნა გამოეტანა.

აკადემიამ 24 იანვრის გაფართოებულ თათბირზე იმსჯელა გენური ინჟინერიით მიღებული და საქართველოში შემოტანილი კარტოფილის სათესლე მასალის შემდგომი გამოყენების თაობაზე, რომელსაც ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანას“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

აკადემიამ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული სათესლე მასალა მთლიანად გადაეცეს სელექციური მიღწევებისა და ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას მისი ტოქსიკოლოგიური, გენეტიკური და სხვა სახით შესწავლისათვის.

მიუხედავად ამისა, მწვანეების მიერ კვლავ კატეგორიულად ისმება საკითხი აღნიშნული კარტოფილის დათესვის აკრძალვის თაობაზე.

ამჟამად სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ თხოვნით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად განიხილონ აღნიშნული საკითხი და საბოლოოდ გადაწყვიტონ მისი შემდგომი გამოყენების, გავრცელების, ან განადგურების საკითხი.

რედაქცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან მიღებულ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აცნობებს მოსახლეობას.

**ნაზი იმნაიშვილი.**

## გვეხმაურებიან

# „ვისთვის გამოვიდე თავი?!“

გავეცანით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1997 წლის 18 იანვარს გამოქვეყნებულ ელგუჯა ლებანიძის წერილს „ვისთვის გამოვიდე თავი?!“. ავტორი სამართლიან გულისტკივილს გამოთქვამს თელავი-თბილისის მატარებელში გასული წლის 15 სექტემბერს მომხდარი უსიამოვნო შემთხვევის გამო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ავტორმა, როგორც თვითონაც აღნიშნავს, ერთხელ უკვე დასტამბა წერილი ყოველკვირეულ გაზეთ „ფინანსებში“ სათაურით: „იქით „ბანანი“, აქეთ „ტყემალი“, ანუ მოგზაურობა ჯოჯოხეთში“.

მართალს ამბობს ავტორი: ის ბრძანდებოდა ჩემთან აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, არ არის გულწრფელი ჩვენი საუბრის შინაარსის გადმოცემისას: სამგზავრო მეურნეობა ჩემდამი რწმუნებულ რკინიგზის თბილისის ტერიტორიულ სამმართველოს არ ექვემდებარება. ამის მიუხედავად, დავპირდი, რომ ყურადღებას მივაქცევდი, ფაქტს განიხილავდნენ იმ ორგანიზაციაში, ვისაც იგი ეკუთვნის და რედაქცია მიიღებდა პასუხს. ასეც მოხდა. წერილი განიხილეს თბილისის სავაგონო უბანში და პასუხი თანდართულ ბრძანებათა ასლებით გადაეგზავნა რედაქციას (ბრძანებათა ასლს გიგზავნით თქვენც).

მოყვანილი ინციდენტის გამომწვევი მიზეზი გახლდათ ბატონ ლებანიძის გამოსარჩლება იმათ მიმართ, ვინც მგზავრობის საფასურს დაწესებული ტარიფის მიხედვით არ იხდიდა. კარგია „დედაქალაქში შემოდგომის ბარაქის“ ჩამოტანა, მაგრამ გვინდა ვკითხოთ ბატონ ელგუჯას: სხვა სახის ტრანსპორტში რომ შესწრებოდა მსგავს ფაქტს, გამოესარჩლებოდა მგზავრს და შესაბამის უწყებას „გაჭირვების ჟამს დაკანონებულ უფასო მგზავრობას“ მოსთხოვდა?

საბაზრო ეკონომიკის პირობებში „ასეთი რთული საკითხები ერთეულთა შეხედულებისამებრ“ ნამდვილად არ წყდება. მას სხვა კანონები წყვეტენ. სწორედ ამ მიზეზით მიმდინარე წლის 16 იანვრიდან აღნიშნული მატარებელი მოიხსნა გრაფიკიდან. სამწუხაროდ, გამართლდა ის, რაც ბატონ ლებანიძეს ავუხსენი.

**ტარიელ ღვაბერიძე,**
საქართველოს რკინიგზის თბილისის ტერიტორიული სამმართველოს უფროსი.

**დაისაჯნენ...**

მიმაგრებულ ბრიგადაზე სუსტი კონტროლის გამო, რამაც გამცილებელთა მხრიდან მგზავრების მიმართ უტაქტობა და უხეშობა გამოიწვია, მატარებლის უფროსს გ. მსხილაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ასეთივე სასჯელი დაედო გამცილებლებს დ. შაიაშვილს, ნ. ირემაშვილს, დ. კახიანსა და ვ. კოჟორიძეს.

**ჯ. ხარჯამაძე,**
თბილისის სავაგონო უბნის უფროსი.

*რედაქციისაგან:* წერილი „ვისთვის გამოვიდე თავი?!“ ავტორმა ჩვენს გაზეთში იმიტომ დაბეჭდა, რომ გაზეთ „ფინანსებში“ ადრინდელ გამოქვეყნებულს პასუხი არ მოჰყოლია. ამ გაზეთმა პასუხი მხოლოდ ჩვენი პუბლიკაციის შემდეგ მიიღო.

ჟურნალისტი „გაჭირვების ჟამს დაკანონებული უფასო მგზავრობისათვის“ არ გამოქომაგებია მგზავრებს. ის აღაშფოთა უწმაწურმა ლანძღვა-გინებამ, რითაც მატარებლის გამცილებლები მგზავრებს მიმართავდნენ. ამის საპასუხოდ კი მას ხელით შეეხნენ!

გრაფიკიდან მატარებლის მოხსნა, არა გვგონია, ორგანიზაციული მხარის არასრულფასოვნებითაც არ იყოს გამოწვეული. და საერთოდ, საინტერესოა, ეს ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო?

# ყვავილები დედისათვის

(დასასრული)

3 მარტი დედის დღეა, მე კი წელიწადის ყველა დღეს დედის დღეს დავარქმევდი და დედას მივუძღვნიდი. ამას რომ ვამბობ, ორიგინალობას როდი ვიჩემებ. ასე მსჯელობს, ან უნდა მსჯელობდეს ყველა შვილი დედაზე – სიცოცხლე რომ გვაჩუქა, გაგვზარდა, უძილო ღამეები ათენა, ჩვენთან ერთად სტკიოდა და უხაროდა, ჩვენი წინსვლით სულდგმულობდა, ჩვენი წარმატებებით ცას ეწეოდა სიხარულით...

როცა დედაზე ვფიქრობ, რატომღაც, ჩვენი სასიქადულო მხატვრის უჩა ჯაფარიძის სურათი „დედა“ წარმომიდგება ხოლმე: ... წყაროსთან ქვაზე ჩამომჯდარი, დაღლილი დედა გზას გასცქერის. იმ გზას ხომ არა, რომელიც უნდა გაიაროს, რომ ქალაქში შვილთან ჩავიდეს, ან იქნებ იმ გზას, რომელმაც ისევ თავის ფუძეზე დააბრუნა შვილთან ალერსში დაღლილი დედა? მე კი ეს სურათი ისეთ გრძნობას მგვრის, ცრემლები ყელში მებჯინება. არკი ვიცი, რატომ...

რამდენმა მხატვარმა აღბეჭდა ტილოზე დედის სახე, რამდენმა მწერალმა მიუძღვნა მოთხრობა თუ ლექსი დედას, მაგრამ პორტრეტი მაინც დაუმთავრებელია, სალებავები აკლიაო თითქოს დედის სახეს.... ალბათ, არც არის გასაკვირი, რადგან დედა ისეთი სიმაღლეა, რომელსაც ვერ შეწვდები, რომლის ამაგსა და ზრუნვას ვერ შეაფასებ, რომლის სიყვარულს არაფერი შეედრება.

დედა – სიცოცხლის საწყისი, დედა – ჩვენი იმედი, დედა – ჩვენი ფარიცა და მახვილიც.

მაშ, მივულოცოთ ყველა დედას დედის დღე – 3 მარტი, ვუსურვოთ ბედნიერება, შვილების ჯანმრთელობა, მხნეობა... მივეალერსოთ დედებს, დავუკოცნოთ ნაჯაფი ხელები, გავახაროთ, გავამხნევოთ, მივართვათ იის კონები.

ეს სტრიქონები ყველა დედას ეკუთვნის, მე ყველას, უკლებლივ ყველას ვეფერები და მრავალჟამიერს ვუსურვებ!

გაუმარჯოს ყველა დედას!

**მერი გაბრიაძე.**

## ინფორმაცია

### ცოტაა, მაგრამ მაინც...

1997 წლის იანვარში წარმოებულმა სამრეწველო პროდუქციის მოცულობამ ფულადი გამოხატულებით 43 მილიონი ლარი შეადგინა, იუწყება სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის დეპარტამენტი. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდის მაჩვენებელმა 18 პროცენტი შეადგინა. ეს ძირითადად განაპირობა თბილისის, ქვემო ქართლის საწარმოთა, აგრეთვე „საქენერგოგენერაციის“ სისტემაში შემავალი ობიექტების შედარებით სტაბილურმა მუშობამ.

იანვარში წარმოების ზრდის შედარებით სწრაფი ტემპი აღინიშნა იმერეთში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთში. მაჩვენებლები შემცირდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელო-ქვემო სვანეთში, კახეთში.

### შემდგომი ინტეგრაციისათვის

ბუშინ ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალურ ვიზიტად ეწვია მსოფლიო ბანკის დელეგაცია ქალბატონ მიშელ რიბუს ხელმძღვანელობით. დელეგაცია მიიღო ეკონომიკის მინისტრმა ვლადიმერ პაპავამ. შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები.

განიხილეს საქართველოსთვის სტრუქტურული გარდაქმნის კრედიტის მეორე ტრანშის მიღების საკითხი. მსოფლიო ბანკის დელეგაცია დაინტერესდა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების მდგომარეობით. განხილულ იქნა საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხი, სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ, საბაჟო სამსახურის დღევანდელი მუშაობის რეჟიმი, მდგომარეობა პრივატიზაციის სფეროში, საგადასახადო პოლიტიკა, მრეწველობის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და სხვა აქტუალური საკითხები.

### სახელმწიფო უმკურნალებს

ცენტრალური ბიუჯეტიდან ონკოლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ და ბავშვთა კარიოქირურგიის პროგრამის დასაფინანსებლად ჯანდაცვის ფონდი დამატებით მიიღებს 3,1 მილიონ ლარს.

### დედამიწის ირგვლივ – მოტოციკლით

ბათუმში იმყოფებოდნენ ფრანგი ცოლ-ქმარი ნატალი კოშე და ერიკ ბეალე, რომლებიც „ჰონდას“ მარკის მოტოციკლებით მოგზაურობენ დედამიწის გარშემო. მშობლიური მარსელიდან ისინი შარშან ნოემბერში გამოვიდნენ, გამოიარეს იტალია, ხორვატეთი, ალბანეთი, ბოსნია და თურქეთი, დაფარეს 7 ათასი კილომეტრი.

ნატალი – საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონი კარატეში ქალთა შორის, სკოლაში მუშაობს ფიზკულტურის მასწავლებლად, ერიკი კი მეტყევეა. ასე რომ, ორივე ფიზიკურად ჩინებულად არის მომზადებული.

– საქართველოში პირველად ვართ, ბევრი გვსმენია ამ ქვეყნის კულტურაზე, მდიდარ ტრადიციებზე, მის სტუმართმოყვარე ხალხზე. ყოველივე ეს დადასტურდა. თქვენ მართლაც ხატცრად გულთბილი ხალხი ხართ და ქვეყანაც ულამაზესია, – გაგვიზიარეს შთაბეჭდილებები სტუმრებმა.

მათ მოგზაურობას აფინანსებს სპორტული ჟურნალი, რომელსაც ისინი აწვდიან რეპორტაჟებს, და საფრანგეთის სპორტის დეპარტამენტი.

მოგზაურები აპირებენ გაიარონ აზერბაიჯანის, თურქმენეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის, ჩინეთის, იაპონიის ტერიტორია. შემდეგ კი გემით გადაკვეთენ წყნარ ოკეანეს და ჩრდილოეთ ამერიკაში ჩავლენ. ნატალი და ერიკი სამშობლოში დაბრუნებას ორი წლის შემდეგ აპირებენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „იბერიამ“.

## თავანკარა ქართული

# დავიბრუნებთ ღირსების გრძნობას

იმ ღირსებათა და ნაკლთა შორის, რომლებიც ქართველს ოდითგან მოსდგამს, ვახუშტი ბატონიშვილი „უცხოთ მოყუარეობას“ ასახელებს. ხალხის ეს თვისება ენაში მაშინ გამჟღავნდა, როცა ქართველმა „საუკეთესოს“ სინონიმად – „საუცხოო“ იხმარა. მაგრამ ვიდრე ეს საჩოთირო სინონიმი ენის წიაღში შეფარული რევერანსი იყო უცხოთა მიმართ, ჩვენ „ზღაპრულ ქართულ სტუმართმოყვარეობად“ გვეთვლებოდა სხვებისთვის თავის მოწონების გადამეტებული მცდელობა და ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა და ყურის მოყრუება დაგვჩემდა. ამ ბოლო დროს კი, როცა მომსწრე გავხდით ჩვენს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში უცხოთმოყვარეობის ასეთი უზომო აღზევებისა (რა პარადოქსია!), ალბათ იმაზე თვალის დახუჭვა და ყურის მოყრუება, რასაც ვხედავთ და ვისმენთ, საკუთარ მეობაზე უარის თქმა იქნებოდა.

მაინც, რა უცბად გავამერიკელდით, როგორ გადავაჭრელეთ ჩვენი მაღაზიებად ქცეული დედაქალაქი უცხოწარწერებიანი აბრებით, რეკლამებით – ქართულის სრული უგულებელყოფით...

დიდი-დიდი, 10 პროცენტმა იცოდეს ქალაქში ინგლისური ენა. ასე თუ წავიდა საქმე, დანარჩენ მოსახლეობას ალბათ მალე პურის მაღაზიის მიგნებაც გაუჭირდება, მით უმეტეს, რომ მაღაზიები ერთი მფლობელის ხელიდან მეორის ხელში გადასვლისას ელვისებური სისწრაფით „პროფილსაც იცვლიან“ და უცხოურადაც ინათლებიან. ნუთუ დასაშვებია, რომ „ახალგამომცხვარ“ ვაჭართა გემოვნებამ, მათმა უაზრო ლინგვისტურმა ატროკებამ და აცუნდრუკებამ ისე თვითნებურად შეუცვალოს სახე დედაქალაქს, რომ ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს, დუხჭირი ცხოვრებით ისედაც აფორიაქებულსა და გეზდაკარგულს, ის შვებაც წაართვას, თავისი მშობლიური ქალაქის ქართული გარემო რომ აძლევს... ვის ინტერესებს ემსახურება მექანიკურად გარემოს გაუცხოება? მერიას არაფერი ეკითხება? თუ ეს მისი დასტურითა და ხელდასხმით ხდება? დაე, ბავშვობიდანვე შეეჩვიოს მოზარდი თაობა თავის სამშობლოში ქართული ენის გაბიაბრუებას? ირწმუნოს, რომ მისთვის უცხო ენის ცოდნაა უპირველესი ზრუნვის საგანი?! რეკლამას ხომ, როგორც ირკვევა, უდიდესი ძალა აქვს და ნუთუ ამ შემთხვევაში ამისი გათვალისწინება ასე გაგვიძნელდა?

თავი იმითღა შეიძლება ვინუგეშოთ, რომ, თუ მთავრობა (იგივე მერია) მოისურვებს, აბრების ჩამოხსნა ერთბაშად შეიძლება მოხდეს, როგორც ხსვა მსგავსმა ღონისძიებებმა გვიჩვენა (ღმერთმა ნუ ქნას, ეს გულუბრყვილო ოცნება იყოს!)... მაგრამ რა ეშველება ამ ბოლო დროს ქართულ ენაში (პრესა, ტელევიზია) შემოჭრილ უცხო სიტყვათა და ფრაზათა მოზღვავებას? ისინი იმ თურქ-სელჯუკებივით გვეტევებიან, რომლებიც ისტორიულ წარსულში აქ დასარჩენად და დასამკვიდრებლად მოდიოდნენ. და თუ მათ ფარად ჩვენი ენის სიმტკიცე და მოქნილობა არ დავახვედრეთ, როგორც პოეტი იტყოდა – „ყელში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური.“

ლამის გამოიდევნოს ქართული მეტყველებიდან ისეთ სიტყვები და ფრაზები, როგორიცაა: ხდება (მოხდა), იყიდება, დღენიადაგ (განუწყვეტლივ, წარამარა) მოწესრიგება, წარდგენა, თავმოყრა, დანიშნულების შესრულება (მუშაობა), ვითარება, წახალისება; წესრიგის მოშლა (არეულობა), წესრიგის აღდგენა (განმტკიცება) და მრავალი მისთანა. მათი ადგილი დაიჭირა სიტყვებმა და გამოთქმებმა: ადგილი აქვს (ჰქონდა), გაყიდვაშია, პერმანენტულად, დარეგულირება, პრეზენტაცია, კონცენტრირება, ფუნქციონირება, სიტუაცია, სტიმულირება, სტაბილიზაცია, დესტაბილიზაცია და სხვა.

ზოგნი იმასაც ფიქრობენ, ამ სიტყვათა ხმარება უფრო „პრესტიჟულიაო“. იმას კი ველარ ამჩნევენ, რომ ამით ქართულ სიტყვებს უვიწროებენ მოქმედების ასპარეზს... წინათ თუ სოფელში ასე დაგიხატავდნენ დღევანდელ ვითარებას: – გაზეთი აღარ მოგვდის, რადიო და ტელევიზორი არ მუშაობს, ბაიბურში არა ვართ, რა ხდება ქვეყანაზეო, ახლა ამ „სიტუაციას“ ასე „დააკონკრეტებენ“: – ინფორმაციის ვაკუუმში ვიმყოფებითო.


„ჩვეულებრივი“ რეკლამა თბილისში.

ეს წუხილი დიდი ხანია დადის თბილისში და მთელ მოქართულე საქართველოში. რა ხდება, – ქართული სიტყვა ველარ ასრულებს თავის დანიშნულებას, თუ ველარ „ფუნქციონირებს“ ჩვენს მოსაწონად? ჩვენი ფალავანი რომ ძიუდოში ღირსეულ მეტოქეობას უწევს იაპონელს, ის გვიხარია, გვეამაყება და – მართებულადაც. ენა კი ჩვენი ეროვნული მეობის ფალავანია; მისი სისუსტით, თუ სიძლიერით განიზომება ჩვენი სულიერი მდგრადობა.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო სიტყვათა შემოსვლა ენაში, მით უმეტეს, ახლა, როცა ევროპის ქვეყნების კავშირში გაერთიანებას (ინტეგრაციას) ვაპირებთ, ბუნებრივი პროცესია და მას ჩინური კედლით ვერ გავემიჯნებით, მაგრამ მთლად საჯიჯითო მოედნად ქცევაც, მეტი რომ არა ვთქვათ, თავის მომჭრელია.

ამ განწყობით მივდიოდი 14 თებერვალს სხვა მწერლებთან ერთად პარლამენტის მოწვევით სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც ქართული ენის სიწმინდის დაცვას მიეძღვნა. აქ შეერთდა და გამთლიანდა პარლამენტარების, მწერლების, ენათმეცნიერების, ჟურნალისტების, თეატრის მოღვაწეების, ქართული ენის მასწავლებლებისა და სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების გულისტკივილი ერთ დიდ გულისტკივილად. მანანა გიგინეიშვილის ვრცელ და საინტერესო მოხსენებაში მთელი სიღრმე-სიგანით, მეცნიერული სიზუსტით აისახა ის მავნე ტენდენციები, რომლებიც დღეს ჩვენს ენას ემუქრება და გამოიკვეთა მცდელობა მათი დაძლევის სავარაუდო გზების მიკვლევისა. სხდომის თავმჯდომარის, ელდარ შენგელაიას და სხდომის მონაწილეთა (გურამ ფანჯიკიძე, კოტე წერეთელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, ლევან ღვინჯილია, გუჩა კვარაცხელია, ავთანდილ არაბული, თამაზ ებანოიძე, ზურაბ ჭუმბურიძე, კოტე გაბაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი, შუქია აფრიდონიძე) საინტერესო გამოსვლებში წამოიჭრა მრავალი პრაქტიკული საკითხი.

განსაკუთრებით წარმოჩნდა მნიშვნელობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში ათეული წლების მანძილზე ქართული ენის ნორმათა დამდგენი კომისიის სამუშაო უჯრედის დაუცხრომელი მუშაობისა ჯერ ივანე გიგინეიშვილის, ამჟამად კი შუქია აფრიდონიძის ხელმძღვანელობით; და, საერთოდ, იგრძნობოდა მთელი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სოლიდური მზადყოფნა ამ დარგში ყოველგვარი მეცნიერული საკითხის გადასაჭრელად. ითქვა, რომ ჩვენი დღევანდელი მატერიალური სიდუხჭირის გამო შეფერხებულია ბევრი სამაგიდო წიგნის (ლექსიკონების, ცნობარების) გამოცემა, მაგრამ წიგნები იწერება, საქმე კეთდება, მხოლოდ საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა.

დიდი პერსპექტივა დასახა მიღებული ნორმების პრაქტიკულად განხორციელების თვალსაზრისით ახლად დაარსებული ენის სახელმწიფო პალატამ ამ საქმის ამაგდარის ლევან ღვინჯილიას თაოსნობით.

ამ მხრივ განსაკუთრებით იმედის მომცემი იყო იმის შეტყობა, რომ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად საზოგადოების წარმომადგენელთა შეკრება პარლამენტის სხდომათა დარბაზში ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით შედგა და რომ ქმედითი ზომების მიღება უკვე სახელმწიფოებრივ დონეზე მოხდება. ეს კი იმის საწინდარია, რომ დავიბრუნებთ ღირსების გრძნობას, ყოველდღიური რუდუნებით ავაღორძინებთ ქართული სიტყვის დაუშრეტელ უნარს, უკეთ ჩავიხედავთ საკუთარ სულში და ვიგრძნობთ პასუხისმგებლობას მომავლის მიმართ, წარსულის მიმართ და იმ სულმნათი წინაპრის მიმართ, ვინც უანდერძა თავის მშობელ ხალხს: „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა მცირობა“.

**თამარ ერისთავი.**

საქართველოს რესპუბლიკა

№ [illegible], [illegible] მარტი, 1997 წელი

**მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ხდება დანაშაული და არის სასამართლო...**

**მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას აქვს ციხე და ჰყავს პატიმარი...**

**და მაინც, ყველგან ციხისა და პატიმრის ხსენება უარყოფით ემოციებს იწვევს.**

**ასეა საქართველოშიც. ასე კი არა, უფრო მეტიცაა, რადგან ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, — ომმა, ეკონომიკურმა კრიზისმა, ქაოსმა, განუკითხაობამ, — ბოროტება ალაზევა, ციხე გადატვირთა, პატიმარი გაამრავლა.**

**ჯერ ყველაფერი არ ჩამცხრალა, ჯერ ყველაფერი კალაპოტში არ ჩამდგარა და... ზოგიერთები ყელში აპეურს გვიჭერენ: „პოლიციური სახელმწიფო“, „განსაკუთრებული რეჟიმი“, „საქართველოს ციხეებსა და კოლონიებში საშინელი მდგომარეობაა“ და სხვა და სხვა...**

**და მაინც, რა ხდება ჩვენს საპატიმრო დაწესებულებებში?**

**ამ თემაზე საუბარი ვთხოვეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელთა აღსრულების მთავარი სამმართველოს უფროსს, სახელგანთქმულ მოჭიდავეს, მსოფლიო თასის მფლობელს, სსრ კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, პოლიციის გენერალ-მაიორს გივი ყვარელაშვილს.**

# პენიტენციური სისტემა

# თავისუფლება გისოსებს მიღმაც

***— ბატონო გივი, დასამალი არაა, ხანდახან ჩვენს პრესაში გამოჩნდება ხოლმე კრიტიკული სტრიქონები საპატიმრო დაწესებულებებზე, საერთოდ, პენიტენციურ სისტემაზე. საამისოდ გაზეთ „რეზონანსის“ 25 თებერვლის ნომერიც კმარა. მაინც, რას გისაყვედურებენ?***

— ჩვენი ოპონენტები, სამწუხაროდ, ან კარგად არ იცნობენ ჩვენს უწყებას, ჩვენს დაწესებულებებში შექმნილ რეალობას, ან განგებ ყველაფერს შავად წარმოაჩენენ.

საქართველო ეუთო-ს ხაზით ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო სემინარებში. გვაქვს ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ. აი, სტატისტიკა, რომელიც პოლონეთში ყოფნისას გაგვაცნო ცნობილმა ნორვეგიელმა მეცნიერმა, ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორმა ნილს კრისტმა.

ნორვეგიაში ყოველ 100.000 კაცზე მოდის 63 პატიმარი, ინგლისში – 106, კანადაში – 125, პოლონეთში – 157, აშშ–ში – 565, ჩინეთში – 625, რუსეთში – 694, საქართველოში სულ 7.224 მსჯავრდებული და 2.300 ბრალდებულია. 100.000 კაცზე მოდის 124 პატიმარი. ეს ციფრი ჩვენი ქვეყნის არავითარ განსაკუთრებულ საპოლიციო რეჟიმზე არ მიუთითებს...

როგორც მთლიანად ქვეყანას, ისე ჩვენც, სერიოზული პრობლემები გვაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილები ვართ. მთელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბატონ კახა თარგამაძის უშუალო ხელმძღვანელობით ხორციელდება რეფორმები. ეს რეფორმები პენიტენციურ სისტემასაც მოიცავს, მას 180 გრადუსით შემოატრიალებს და მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს სტანდარტებს მიაახლოებს.

***— სასჯელის აღსრულება სახელმწიფოს ფუნქციაა. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს კიდეც მსჯავრდებულის როგორც სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების, ასევე საპატიმრო ადგილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. როგორაა ამ მხრივ საქმე თქვენთან?***

– დღეს სახელმწიფოს უჭირს, მაგრამ პენიტენციური სისტემის ყველა პრობლემას მაინც იგი აგვარებს და, პრაქტიკულად, ყველა ხარჯს ბიუჯეტიდან აფინანსებს. ორი წელიწადია აქა ვარ და უკვე ორჯერ გამოვიდა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სპეციალური დადგენილება ჩვენი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, პატიმართა დასაქმების, მათი სოციალური, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო თუ სხვა საკითხების გადასაჭრელად. წლეულს ჩვენს უწყებას გამოეყოფა შვიდი მილიონი ლარი. პრეზიდენტი შეგვპირდა, რომ თუ საჭირო იქნება, საკუთარი ფონდიდან დამატებით დაგვაფინანსებს. გამოყოფილი თანხა დაიხარჯება კაპიტალურ რემონტზე, მშენებლობაზე, ძირითადად, რუსთავის გზატკეცილზე სპეციალური დაწესებულების, საგამოძიებო იზოლატორის აგებაზე... მარტო იმის



თქმა რად ღირს, რომ წლეულს თითოეული პატიმრის მხოლოდ კვებაზე, თვეში ნაცვლად 18-ისა, დაიხარჯება 23 ლარი. მხოლოდ კვებაზე. და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში პენსია 8-9, მინიმალური ხელფასი კი 14-15 ლარია...

***— უფრო კონკრეტულად ხომ არ გვეტყვით, რა რეფორმები მიმდინარეობს? ზოგადი მსჯელობა მაინც ეჭვს ბადებს...***

– რეფორმებს ვახორციელებთ შვიდი მიმართულებით და, მოდით, ჩვენც შვიდივეზე ვილაპარაკოთ, ასე უფრო მართებული გამოვა.

### მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა

როგორც ვთქვი, რუსთავის გზატკეცილზე უკვე შენდება საგამოძიებო იზოლატორი. საგარეჯოში კაპიტალურად გარემონტდა და ამოქმედდა მკაცრი რეჟიმის კოლონია. იქვე აშენდა ახალი, განსაკუთრებული რეჟიმის დაწესებულება. სონში სრული რეკონსტრუქცია განიცადა, კაპიტალურად გარემონტდა ადმინისტრაციულ ორგანოთა თანამშრომლების დაწესებულება. ავჭალაში გადაკეთდა, საერთოდ, გაკოხტავდა და გაკოპწიავდა არასრულწლოვანთა კოლონია; იქ აშენდა საშუალო სკოლა, ეკლესია; გარემონტდა ქუთაისის საგამოძიებო იზოლატორი; სახეს იცვლის გეგუთის საერთო რეჟიმის კოლონიაც.

ბევრი რამ გაკეთდა ქალთა კოლონიაში, თბილისის №1 საგამოძიებო იზოლატორში, რუსთავის №1 და №2 დაწესებულებებში. სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ქსნის ტუბდაავადებულთა დაწესებულებას. იქვე გაიხსნება სასჯელის აღსრულების სპეციალური კორპუსი 100 კაცზე განსაკუთრებული რეჟიმის მსჯავრდებულთათვის. კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება. ვგონებ, ესეც საკმარისია.

ჩვენთან რამდენჯერმე იყვნენ ადამიანთა უფლებების დაცვის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, ეუთო-დან, აშშ-დან, ინგლისიდან, პოლონეთიდან, ნორვეგიიდან... ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოს პენიტენციურ სისტემაში შეუძლებელი შეძლეს.

***— ფრანგ პატიმარს თურმე საკანში მარტო ჯდომა უყვარს; რუსს, პირიქით, სხვებთან ერთად ყოფნა მოსწონს. როგორაა ჩვენში? ავჭალის ბავშვთა კოლონიაში, ვგონებ, ყაზარმული ცხოვრებაა...***

– ფრანგებისა და რუსებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ... ქართველ კაცს, თავისი ბუნების, ხასიათის გამო, მაინც ხალხმრავლობა, ადამიანებთან ურთიერთობა ურჩევნია. 3-4-კაციანი საკნები იქნებ მისწრებაა, მაგრამ ჯერ ჩვენ საამისოდ მზად არა ვართ. მომავალში, ალბათ, ესეც იქნება.

### პატიმრის წერილიდან

**ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, — საკანში ყმუილი, ხარხარი, ყვირილი და აურზაურია. აქ სულ ასეა, დღე და ღამე გაერთიანებულია.**

**აქ არ ისვენებენ, ძილიც კი ჭირს. ერთმანეთში ირევა 20 კაცის ნერვული დაძაბულობა, 20 კაცის სუნთქვა. 20 სხვადასხვა აზროვნებაა ერთ ოთახში გამოკეტილი. დაწყებული — 19 წლის ჯეელის თავქარიანი ხუშტურებით, დამთავრებული 60 წლის რეგვენის დრომოჭმული აზრებით.**

**ზოგი ფანჯარასთან ატუზულა, ზოგი ჭამს და მეჩვენება, რომ ლუკმა ყელზე ადგება; ზოგი მომავალ დაკითხვას ელის, ზოგი კიდევ — ნაადრევ გათავისუფლებას...**

**აქ სამოთხე არ არის, მაგრამ არც ჯოჯოხეთია. აქ ჯერ კიდევ არის იმედი, რწმენა. აქ უბრალოდ სახეშეცვლილი ცხოვრებაა და, ალბათ, არც გაუსაძლისია, რადგან ვუძლებთ.**

**აქ იცვლება ფასეულობანი. ბევრი რამე კარგავს წონას, ფერს. ბევრი რამის მიმართ გულგრილი ხდები. ზოგჯერ უსამართლობასაც ეგუები...**

**ციხე დიდი სკოლაა, მაგრამ სჯობდა იგი მაინც დაუსწრებლად გამევლო.**

**აქ სამოთხე არ არის!**

* * *

***— ბატონო გივი, „გულაგის“ ლექსიკონის ავტორი, ფრანგული ცივილიზაციის ისტორიის მხურვალე პროპაგანდისტი ჟაკ როსი, რომელიც 30 წელიწადი იჯდა კომუნისტურ ჯურღმულებში, წერს: ციხეში დიდი დემოკრატიაა, იქ განსხვავება ქრება, ყველა თანასწორიაო. ეთანხმებით?***

– ციხის ადმინისტრაციისთვის ყველა პატიმარი თანასწორია. აი, ერთმანეთისთვის კი – ძნელი სათქმელია. განსხვავება, ალბათ, მაინც არის. ისე, მე ვისურვებდი, ციხე მართლაც იყოს დიდი სკოლა, ოღონდ ოპტიმიზმის სკოლა...

### საკანონმდებლო ბაზის შექმნა

საქართველოში თავისუფლების აღკვეთის ხასიათს, ანუ რეჟიმს, სასამართლო განსაზღვრავს, ცხადია, დანაშაულის კატეგორიისა და სიმძიმის კვალობაზე. ესენია: პირობითი სასჯელი, საერთო რეჟიმი, გაძლიერებული რეჟიმი, მკაცრი რეჟიმი, განსაკუთრებული რეჟიმი, ციხის რეჟიმი, არასრულწლოვანთა კოლონია, ქალთა კოლონია, თანამშრომელთა კოლონია, ჩასახლება. როგორც ხედავთ, დღემდე ვსარგებლობთ ყოფილი სსრ კავშირის პენიტენციური სისტემის კანონ-წესებით. დასავლეთში კი უკლებლივ ყველა პატიმარი სასჯელს იხდის მხოლოდ და მხოლოდ ციხეში. და ამ ციხეშიც პატიმრები შესანიშნავ პირობებში ცხოვრობენ. იქ თვალნათელია პენიტენციური სისტემის ჰუმანიზაციის ტენდენცია.

დიახ, ჩვენთანაც უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ჩამოაყალიბებს ჩვენს შიდაუწყებრივ სისტემას. საამისოდ სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს რესპუბლიკის პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს ხანს გვექნება ცივილიზებული ქვეყნების მოდელების საფუძველზე შექმნილი საკანონმდებლო ბაზა. და მაშინ ჩვენი მუშაობა გაცილებით ქმედით, ეფექტიან სახეს მიიღებს.

***— და შეიძლება ჩვენთანაც მხოლოდ ერთი — ციხის რეჟიმი იყოს?***

– შეიძლება, როგორ არა!

### მსჯავრდებულთა შრომით დასაქმება

საკითხი მართლაც მტკივნეულია. როგორც ვთქვი, დღეისთვის საქართველოში დაახლოებით 7224 მსჯავრდებულია. აქედან სხვადასხვა საქმიანობით დაკავებულია მხოლოდ 10 პროცენტი. ჩვენ გამოკითხვა მოვაწყვეთ. პატიმართა 60 პროცენტს სურს შრომით საქმიანობაში ჩაბმა. სამწუხაროდ, დღეს ამის შესაძლებლობა არა გვაქვს. ჩვენი დანგრეული საწარმოო სიმძლავრეების აღსადგენად სესხის სახით უნდა მივიღოთ 7 მილიონი ლარი. ჯერჯერობით ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო ვერც შინაგან საქმეთა მინისტრის კახა თარგამაძის, ვერც მისი პირველი მოადგილის ჯემალ მიქელაძის ძალისხმევამ, ფინანსთა სამინისტროდან გურამ გვეტაძის, ეკონომიკის სამინისტროდან გრიგოლ ბოკუჩავას დახმარებამ.

***— ადრე პატიმრებს იძულებით ამუშავებდნენ. მერე ითქვა, რომ ეს მონური ექსპლუატაციის წყარო გახლდათო. ახლა? ისევ ვუბრუნდებით ძველ გზას?***

– „სოციალიზმის მშენებლობის“ პერიოდში პატიმართა მართლაც იძულებითი შრომით შენდებოდა მთელი ქალაქები, გიგანტი საწარმოები, მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო თუ სამრეწველო საქონელი. დიახ, იძულებითი შრომით. ამიტომ ვუწოდეთ იმ მეთოდს მონური ექსპლუატაციის წყარო. მსჯავრდებულთა შრომა უნდა იყოს თავისუფალი, ნებაყოფლობითი და უსათუოდ – ანაზღაურებადი. მსოფლიო პენიტენციური სისტემა შრომას ითვალისწინებს პიროვნების მართლაც აღზრდა-გამოსწორებისთვის და არა სახელმწიფოს ეკონომიკური ეფექტისთვის. თუ პატიმარი მუშაობს, გასამრჯელოც უნდა მიიღოს. გამომუშავებულის მიღებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება თვით პატიმრისთვისაც და მისი ოჯახისთვისაც. სწორედ ამ მიზნით მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა ხონის რაიონის გამგეობამ გამოგვიყოს 700 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, სადაც დასაქმდებიან პირობით მისჯილი და პირობით გათავისუფლებული მსჯავრდებულები. მსგავსი ნაბიჯები სხვაგანაც გადაიდგმება.

### მსჯავრდებულთა უფლებების დაცვის ინსტიტუტის შექმნა

მსოფლიო პენიტენციურ სისტემაში ასეთი პრეცედენტი არ არსებობს: ჩვენთან შეიქმნა პატიმართა უფლებების დაცვის სამსახური, რომელსაც უკვე მოაქვს ხელშესახები შედეგები. ამ სამსახურისადმი დიდი ინტერესი გამოხატეს ეუთო-ს მისიის, წითელი ჯვრის საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დაცვის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ამ კუთხით, ენერგიულად მუშაობს პატიმართა №1 ქომაგი, პარლამენტარი ელენე თევდორაძე. იქნებ ზოგმა არც კი დაიჯეროს,



თბილისის ქალთა კოლონიაში.

– ორი წელიწადია პატიმართაგან საჩივარი არ მიგვიღია ადმინისტრაციის მხრიდან უხეშ, უღიერ მოპყრობაზე, ფიზიკურ, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე. ჩვენ სისტემატურად ვხვდებით მსჯავრდებულებს, ვინიშნავთ მათ პრეტენზიებს, წინადადებებს, ვაანალიზებთ და მერე სათანადო დასკვნების საფუძველზე ვმოქმედებთ.

***— ბატონო გივი, ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ შრომაზე. მაგრამ ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის, პატიმარსაც, შრომის უფლების გარდა, აქვს სხვა უფლებებიც. მაგალითად, ბევრს სურს მონაწილეობა სპორტულ ღონისძიებებში, ლიტერატურულ კონკურსებში, რელიგიურ რიტუალებში...***

– ჩვენს დაწესებულებებში ხშირად იმართება ლიტერატურული კონკურსები, სამხატვრო გამოფენები. პატიმართა შორის ბევრია ნიჭიერი, განათლებული პირი. ვაელენთ მათ, ვახალისებთ. როგორც კი გამოზაფხულდება, სპორტულ ღონისძიებებს მოვაწყობთ. საამისოდ „დინამოს" რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად სპეციალური გეგმაც შევიმუშავეთ.

განსაკუთრებით უნდა გამოვყო რელიგიის როლი მსჯავრდებულთა სულიერი სამყაროს გაკეთილშობილებაში. პრაქტიკულად ჩვენთან ყველა დაწესებულებაში არის ან ეკლესია, ან სალოცავი ოთახი.

ჩვენთან ხშირად მოდიან მღვდელთ-მსახურნი. რამდენჯერმე გვეწვია საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ახლახანს ქსნის კოლონიაში დიდი ლოცვა-კურთხევა ჩაატარა მეუფე საბამ. მისი ხელის ერთი მინიშნებით ღვთის წინაშე მუხლი მოიყარა 1200-მა ჯიუტმა პატიმარმა. ეს იყო გულისშემძვრელი და იმედისჩამსახველი ფაქტი. კაცი, რომელიც ასე იჩოქებს, კაცი, რომელიც არა მარტო ჯვარს აგარებს, არამედ ხატავს, ძერწავს ჯვარსაც, ხატსაც, პატარა ეკლესიასაც, არ შეიძლება განწირული იყოს. ასეთი ხალხი ჩვენთანაც ბევრია და ვეცდებით ისინი საზოგადოებას სულიერად ჯანსაღი დავუბრუნოთ...

***—შარშან ირანში 2.300-მა პატიმარმა ზეპირად ისწავლა ყურანი. მათგან უმეტესობა სასჯელისგან გაათავისუფლეს, შინ გაუშვეს. შეიძლება ეს ჩვენთანაც მოხდეს?***

– შეიძლება ოდესმე ბიბლიის ზეპირად შესწავლისთვის ჩვენთანაც გაათავისუფლონ პატიმრები. ეს მომავლის საქმეა. დღეს კი... მინდა თხოვნით მივმართო ქართული ეკლესიის წინამღვარს, რომ ჩვენს დაწესებულებებში სულიერი მამების მოსვლას, წირვას, ლოცვა-კურთხევას სისტემატური ხასიათი მიეცეს. გაცნობებთ იმასაც, რომ ამიერიდან პენიტენციურ სისტემას სულიერ მოძღვრად ეყოლება მამა ლაზარე (ქიტუაშვილი).

და ბოლოს, კიდევ ერთი პერსპექტივის შესახებ. ჩვენ ახლა ვსწავლობთ პატიმართათვის უმაღლესი დაუსწრებელი სწავლების საკითხს. როგორც იცით, ბოლო წლებში მსჯავრდებულთა კონტინგენტი ძალზე გაახალგაზრდავდა. საშუალო ასაკია 27 წელი. გვყავს სკოლადამთავრებულებიც და ნასტუდენტარებიც. მათ უნდა მივცეთ სწავლის გაგრძელების საშუალება.

***— ამ იდეას საზოგადოებაში უკვე კუდი გამოაბეს, — გარეთ სწავლება ფასიანია, გაჭირვებულთათვის მიუწვდომელია. ამიტომ ახალგაზრდები სპეციალურად წავლენ ციხეში, რათა იქ უფასოდ მიიღონ უმაღლესი განათლებაო...***

– ჯერ ერთი, ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის; მეორეც, სწავლება ფასიანი იქნება. პატიმრები იმუშავებენ და სწავლის ქირას საკუთარი შრომით დააგროვებენ. თანაც, ისწავლიან მხოლოდ სანიმუშონი, ასე რომ, არავის ვურჩევ დანაშაულის ჩადენას „მუქთი" დიპლომის ხელში ჩასაგდებად.

#### სამედიცინო სამსახურის გაუმჯობესება

ბოლო ხანს აქაც დადებითი შედეგები გვაქვს. პრაქტიკულად თავიდან ავიცილეთ მასობრივი ინფექციური სნეულებები. ჭარბობს კვლავ ტუბერკულოზი და გულსისხლძარღვთა დაავადებები. ეს ისეთი ავადმყოფობებია, რომლებიც სადღეისოდ მოდებულია საქართველოში. შარშან, წინა წელთან შედარებით, პატიმართა სიკვდილიანობა 30 პროცენტით შემცირდა – 10.000 კაციდან 65 გარდაიცვალა...

***— ჩვენს რედაქციაში ახლაც დადის ერთ-ერთი ყოფილი პატიმრის თეიმურაზ კონჭოშვილის დედა. იმ პატიმარმა თავი მოიკლა. დედაა და, ვერ გავამტყუნებთ, — ეჭვი აქვს, სხვა რამ ხომ არ მოხდა, ჩემი შვილი თავს არ მოიკლავდაო...***

– სხვა არაფერი მომხდარა. არის ექსპერტიზის დასკვნა. დოკუმენტები რესპუბლიკის პროკურატურაში ინახება. პირადად ვიცნობდი კონჭოშვილს. მან ვენები გადაიჭრა.

სამწუხაროდ, ისევე როგორც გარეთ, აქაცაა თვითმკვლელობები. სხვათა შორის, მსოფლიოში ყველაზე მეტი თვითმკვლელობა ფინეთისა და შოტლანდიის ციხეებში ხდება. ჩვენ იმათთან რა ვართ!

ყოველგვარ დაავადებას ვმკურნალობთ, ურთულეს ოპერაციებს ვაკეთებთ. აი, იმ სახელგავარდნილ „მაჭახელას" – დავით ოთიაშვილს, რომელსაც უზენაესმა სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა, ჩვენ გავუკეთეთ გულის ურთულესი ოპერაცია, ლევან მამულიანს – მუცლის ღრუს ოპერაცია, ზინაიდა ახუნდოვას – თვალის ოპერაცია... დასამალი არაა, – დღეს საქართველოს მოსახლეობას ოპერაციის გაკეთება კი არა, უბრალო წამლის ყიდვაც კი უჭირს. ჩვენთან ეს პრობლემა მოხსნილია. მედიკამენტებით უზრუნველყოფილია საპატიმრო დაწესებულებებიც და საავადმყოფოც.

***— რახან სიტყვამ მოიტანა, ორიოდ სიტყვით, შევეხოთ სიკვდილით დასჯას. ამაზე ახლა ჩვენში დიდი აჟიოტაჟია. მუდმივი პატიმრობა შემოვიღოთ? არის მზად თქვენი სამმართველო მუდმივი პატიმრის მისაღებად? მას სხვა პირობები უნდა. რუსეთში, მაგალითად, ბევრმა მუდმივმა პატიმარმა ისევ სიკვდილით დასჯა მოითხოვა...***

– სიკვდილით დასჯაზე ჩვენს საზოგადოებაში აზრი არაერთგვაროვანია. მომხრეებიც არიან, მოწინააღმდეგენიც. 1995 წლის შემდეგ ჩვენთან მოქმედებს მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. არავინ დაგვიხვრეტია. რაც შეეხება მუდმივ პატიმრობას, გამოიძებნება საამისო საშუალებაც. რუსთავის გზატკეცილზე მშენებარე საგამოძიებო იზოლატორს შეიძლება ფუნქცია შევუცვალოთ და მისი ნაწილი მაინც მუდმივი პატიმრების დაწესებულებად ვაქციოთ.

#### სარეჟიმო-ოპერატიული საქმიანობის სრულყოფა

ამ კუთხით სალაპარაკო ძალზე ბევრია, მაგრამ, გასაგები მიზეზების გამო ვერ ვილაპარაკებ.

**— სულ არაფერს იტყვით?**

– მხოლოდ ერთს: შარშან ჩვენთან არ მომხდარა მძიმე დანაშაული, გაიქცა მხოლოდ ერთი პატიმარი. ასეთი კარგი შედეგი ჯერ არ ყოფილა ჩვენი პენიტენციური სისტემის ისტორიაში.

#### კადრებთან მუშაობის დახვეწა

ეს რთული უბანია. ტრადიციულად, ჩვენი სამმართველო ძნელი დასაკომპლექტებელია. პოლიციელს ისედაც ურეჟიმო, უგანრიგო სამუშაო დღე აქვს. ჩვენ – განსაკუთრებით... ყოველი ფეხის ნაბიჯზე საჭიროა დიდი სიფრთხილე, დიდი სიფხიზლე, დიდი დაკვირვება, დიდი პასუხისმგებლობა... და კიდევ ათასგვარი რამ. მუშაობის სახიფათო პირობებია. დამცველი კედლებიც კი დაბზარულია. გამორიცხული არაა თავდასხმები თანამშრომლებზე... 1994 წელს ჩვენთან ოფიცერთა შემადგენლობა დაკომპლექტებული იყო მხოლოდ 49 პროცენტით. მას მერე ოფიცერთა შემადგენლობა გაიზარდა 53 პროცენტით, რიგოსანთა კი – 30 პროცენტით. როგორც წესი, ყველა ოფიცერი უმაღლესი განათლებითაა. რაოდენობრიობასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

***— ბატონო გივი, 1997 წელი საქართველოში გამოცხადებულია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გადამწყვეტ წლად. ამ სენმა ისე გაშალა ფრთები საქართველოში, რომ, ალბათ, ვერც თქვენი უწყება გადაურჩა მას...***

– გამონაკლისი არც ჩვენი უწყებაა. შარშანდელი მონაცემებით დისციპლინარული წესით დასჯილია 93 კაცი, 5 კაცზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სამსახურიდან დათხოვილია 200-მდე თანამშრომელი. ამ მახინჯ მოვლენას არც წლეულს შევეპუებით, მაგრამ ეს პრობლემა უფრო სერიოზულ, ფართო მიდგომას მოითხოვს. ახლა ქვეყანას უჭირს, უჭირს პოლიციის მუშაკსაც. არაზოგი ხარბია, გაუმაძღარი, ყველამდე რომ ჩასვა ფულში, თავისას მაინც იზამს, მაგრამ როცა ქვეყანა ეკონომიკურად მოძლიერდება, ჩვენს ხალხს ცხოვრების უკეთესი პირობები შეექმნება, ყველაფერი, ალბათ, კალაპოტში ჩადგება.

#### ნაპატიმრალის წერილიდან

**მე ვარ ზინაიდა მარგალიტაშვილი. ახლახან გამათავისუფლეს. 4 წელი და 6 თვე მქონდა მისჯილი. აქედან 1 წელი და 8 თვე „დახურულში" გავატარე. რატომ? არ ვიცი. პატარ-პატარა დარღვევები მქონდა, — უადგილო ადგილას სიგარეტის მოწევა, უბრალო სიტყვიერი შენიშვნა... და უცებ, ქალთა კოლონიიდან „დახურულ" რეჟიმში გამწესება.**

**№14 ციხეში მოვხვდი, რომლის უფროსია პოლკოვნიკი შოთა კოპაძე. მე მას დიდ მადლობას ვუხდი, დიდ მადლობას ვუხდი რეჟიმის უფროსს იროდი ბაღათრიშვილს, ოპერნაწილის უფროსს თამაზ მელაძეს, რაზმის უფროსს ნელი ლემონჯავას, სპეცნაწილის უფროსს ლარისა ხოხლოვას. ისინი ადამიანურად მექცეოდნენ. გათავისუფლებისას არაფერი მებადა — ფულიც მომცეს, ტანსაცმელიც, ფეხსაცმელიც...**

**ასე ვფიქრობ, ღმერთმა გამომიგზავნა ეგ ხალხი. ახლა ეკლესიაში დავდივარ, მათზე ვლოცულობ. არ დაგიმალავთ, ეს ჩემი პირველი ნასამართლობა არ იყო. თავიდანვე რომ მასეთი ხალხი შემხვედროდა, მეორედ ციხეში აღარ აღმოვჩნდებოდი.**

***—ყველა პატიმარი პატიმარია, თუმცა ქალი მაინც ქალია, ოჯახის ბურჯი, ქმარშვილის პატრონი. და უცებ — ციხეში. დანაშაული არავის ეპატიება, მაგრამ... ქალთა კოლონიაში ერთი ქალი, ორი შვილის დედა, სასჯელს იხდის ინდაურის ქურდობისთვის. ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობდა?***

– საქართველოში ქალთა დანაშაული პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ქალთა დანაშაული არსებობს. ამას ვერ უარვყოფთ. ამჟამად ჩვენს ქალთა კოლონიაში 211 პატიმარია. გაცილებით მეტია ლიტვაში, ლატვიაში, ესტონეთში... უმძიმეს დანაშაულს ქალებიც სჩადიან – მკვლელობებშიც არიან გარეული, ყაჩაღობებშიც, ნარკოტიკების გასაღებაშიც... სამწუხაროდ, გვყავს ისეთი ქალებიც, რომლებმაც შედარებით მსუბუქი დანაშაული ჩაიდინეს, ვთქვათ, იგივე ინდაური მოიპარეს და ამისთვის თავისუფლება აღუკვეთეს, შვილები უპატრონოდ მიატოვეს. აი, ასეთ დანაშაულობებზე, ცხადია, შეიძლებოდა უფრო იოლი იურიდიული სანქციის გამოყენება, – თუნდაც დაზარალებულთან შერიგება, ზარალის ათმაგად ანაზღაურება, საჯაროდ გაკიცხვა და არა მაინცდამაინც – ციხეში გასტუმრება.

***— ზინაიდა მარგალიტაშვილის წერილიდან ჩანს, რომ თქვენი თანამშრომლების გულისხმიერი დამოკიდებულების წყალობით იგი ჩაუკვირდა წარსულის შეცდომებს და არავითარი სურვილი აღარ აქვს შემდგომში იქ დაბრუნებისა... ხალხში კი ასეთი ხმა დადის, ციხიდან გამოსწორებული, სწორ ჭკუაზე დამდგარი ჯერ არავინ გამოსულაო. მართლა ასეა?***

– ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი სინდრომისგან. რეციდივისტები გვყავს, როგორ არა გვყავს, ზოგი მეორედაც აღმოჩნდება ციხეში და მესამედაც, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, თითზე ჩამოსათვლელი ხალხია.

ეს ერთი, ახლა მეორეც:

– ნურავის ჰგონია, რომ სასჯელთა აღსრულების სისტემაში მხოლოდ უგულო და სასტიკი ადამიანები მუშაობენ. ციხეს თავისი წესები, თავისი კანონები აქვს – დაკისრებული მოვალეობა უზადოდ, კანონის დაურღვევლად უნდა შეასრულო. ექიმებიც არიან მკაცრები, – აბა, ვინ ჩაერევა იმ ქირურგის საქმეში, რომელიც ურთულეს ოპერაციას აკეთებს? სიმკაცრის გამოჩენა, შუბლის შეკვრა, სიტყვიერი დატუქსვა ზოგჯერ ჩვენთანაც საჭიროა. საგანგაშო ამბავია – თანდათან ახალგაზრდავდება დამნაშავეთა სამყარო. ვილაცამ ხომ უნდა შეაჩეროს ეს პროცესი? კამათი, მკვახე საუბარი ოჯახშიც ხდება. და არა იმიტომ, რომ ერთმანეთი ეჯავრებათ. პატიმარი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია, ჩვენი საზოგადოების ნაწილია და იგი ციხიდანაც იმედით უნდა დაუბრუნდეს ამავე საზოგადოებას.

ამიტომაც ჩვენ სრული სვლით მივდივართ რეჟიმის ჰუმანიზაციისაკენ, დემოკრატიზაციისაკენ. გავახშირეთ პაემნები, ამანათების გადაცემები. ვფიქრობთ ტელეფონებზე, ტელევიზორებზე. საერთოდ, მთელს პენიტენციურ სისტემაში მყუდრო გარემოს შექმნაზე, ურთიერთობათა გაღრმავებაზე. პატიმარმა თავი არ უნდა იგრძნოს გარიყულად, დათრგუნულად. იგი უნდა დარჩეს ადამიანად, ჩვენი ქვეყნის მომავალ ღირსეულ წევრად.

***— ბატონო გივი, თქვენ ერთხელ საკუთარ თავს №1 პატიმარი უწოდეთ, დილის 9 საათიდან ღამის 2 საათამდე აქა ვართ. ჩვენი საუბრის პერიოდში ბევრ თანამშრომელს ელაპარაკეთ ტელეფონით. ახლა ღამის 11 საათია. ყველა აქ არის?***

– ღამის 12 საათზე დაიწყება სელექტორული თათბირი. ღამის 2 საათზე კი სპეციალური ჯგუფი გავა ჩვენი დაწესებულებების დასათვალიერებლად. ასეა ყოველდღე. დანარჩენი თქვენ განსაჯეთ!

***— ისედაც ყველაფერი გასაგებია. ღამე მშვიდობისა...***

ესაუბრა
**ბონდო გულიაშვილი.**


ავჭალის ბავშვთა კოლონიაში.


რესპუბლიკური საავადმყოფოს საოპერაციო ბლოკში.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
№50. კვირა. 2 მარტი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი მოთხრობა

### ვალერიან ჩეკურიშვილი

# სუფრავ, გაშლილო ლხინითა...

სამუშაო საათები კარგახნის დამთავრებული იყო, ჩვენ კი შინ წასვლას არ ვფიქრობდით. ვანოს სამუშაო მაგიდაზე გაშლილი იყო გაზეთი, ზედ ეწყო ქართული პურის ნატეხები, იაფფასიანი ყველის ნაფშვენები და მეტი არაფერი. გივის ფეხებთან ედგა პლასტმასის პატარა თეთრი ბიდონი, საიდანაც ღვინოს გვისხამდა ჩაის და ყავის სხვადასხვა ზომის ჭიქებსა და ფინჯნებში. ცდილობდა ყველა ჭიქაში თანაბარი რაოდენობით დაესხა.

სუფრას ვუსხედით „საშუალო ინტელიგენციის" წარმომადგენლები (აბა, სხვას ვის ექნებოდა ასეთი მწირი ხარაზული სუფრა).

ვანო იყო იუბილარი, გერონტი – თამადა, ჩვენ ვანოს დამფასებლები.

ფეხებზე გვეკიდა სიღარიბე. ისეთ ხასიათზე ვიყავით, იმდენ ანეკდოტებს ვყვებოდით, ისე გულიანად ვიცინოდით, უმაღლესი კლასის რესტორანში სამსართულიან სუფრასთან მსხდომ მილიონერებს შემურდებოდათ.

ისე კი, ჩვენც შეგვეძლო ცოტა უკეთესი სუფრა გაგვეწყო, მაგრამ ვანოს ბრალია, შინ წასვლის დრომ რომ მოაღწია, ვანომ ბიბლიოთეკიდან ნათხოვარი გაზეთი აკეცა და იკითხა:

– ვისა გაქვთ საათი, რომელი საათია?

ვუპასუხეთ.

– რიცხვიც ხომ არ გაინტერესებს? – ჰკითხა ამირანმა.

– კაცი არ ვიყო, თუ მართლა ვიცოდე დღეს რა რიცხვია... რა გაცინებთ, ხომ ხედავთ, არც კალენდარი მაქვს – პლასტმასის ცარიელ დაფას დაადო ხელი.

რიცხვიც ვუთხარით.

– არა, მართლა? – თვალები რაღაცნაირად გაუბრწყინდა უცებ.

მერე გაჩუმდა და კალენდრის ცარიელ დაფას მიაშტერდა. თითქოს მზეს ღრუბელი მოეფარაო, ისევ უცებ მოიწყინა.

– რა იყო ვანო? წასასვლელი ხომ არსად იყავი და დაგავიწყდა?

– ჰო, არა... არა... ჩემი დაბადების დღე ყოფილა თურმე და არცკი მახსოვდა... ეჰ! – ისევ გაშალა გაზეთი და თავი ჩარგო.

ეს იყო და გადავწყვიტეთ ვანოსთვის ის დღე რაღაცნაირად გაგველამაზებინა. მოვიჩხრიკეთ ჯიბეები, ამოვკრიფეთ თეთრები თუ ყვითლები, შევაკოწიწეთ და ასე გავშალეთ მილიონერებისათვის შესაშური სუფრა.

უკვე სიმღერის ხასიათზე ვიყავით, თამადამ რომ ოჯახების სადღეგრძელო შემოგვთავაზა.

გერონტი თეატრალი კაცია. ძალიან ლამაზად დაგვისურათხატა თითოეული ჩვენთაგანის სულის ნავსაყუდელი ოჯახები, სადაც ჩვენი წილი ბედნიერება ბუდობს, სადაც გველოდება სითბო, სიყვარული, სადაც ვიმშვიდებთ გარეთ აწეწილ ნერვებს...

აქამდე ანეკდოტების მოყოლაში რომ ერთმანეთს ვეცილებოდით და სიცილის ცრემლებს ვიწმენდდით, ახლა ოჯახების სადღეგრძელოს მთელი სერიოზულობით ვამზობდით, რითაც გამოვხატავდით ჩვენს დამოკიდებულებას ჩვენი ოჯახების მიმართ. ვამბობდით-მეთქი, თორემ ისინი ლაპარაკობდნენ, მე კი ჩუმად ვიჯექი, ფართო ფანჯრიდან გარეთ ვიყურებოდი. ფანჯრის პირდაპირ ჩამწკრივებული ალვის ხეები თეთრ ჩოხებში გამოწყობილი მომღერლებივით გაქვავებულნი იდგნენ ხანჯლის გარეზზე ხელებდაწყობილნი და თითქოს ლოტბარის ნიშანს ელოდნენ, რომ სიმღერა დაეწყოთ. ვუსმენდი მეგობრებს და სადღეგრძელოს სადღაც სხვა მოგონებებში მივყავდი.

– აბა, ვის არ დაულევია? დალიოს და მერე ერთი კარგი სიმღერა კიდევ ჩავახვიოთ, – ბრძანა თამადამ.

ყველამ ჩემ სავსე ჭიქას შეხედა, მერე მე შემომხედეს.

მე უცებ ავიტაცე ჭიქა და თამადას ვთხოვე:

– თუ ნებას დამრთავ, ორ პატარა ამბავს მოკლედ მოგიყვებით, მერე დავლევ.

– მოყევი, კაცო, ჩვენ აქ მარტო ღვინის დასალევად ხომ არა ვსხედვართ.

– გუშინწინ „ისნის" ბაზრობაზე ვიყავი, – დავიწყე მე, – იქ ერთ ქალბატონს ვკითხე, მამაკაცის პერანგებს როგორ ყიდით-მეთქი.

– ძვირად მინდა გავყიდო, ბატონო, მაგრამ ვერა ვყიდი, – დაიჩივლა.

– ძვირად რომ აფასებთ, იმიტომ ვერა ყიდით, – ვუთხარი მე.

– მართალი ბრძანდებით, – უმალვე დამეთანხმა, – ხალხს ფული არა აქვს. ვინც ნამდვილი მყიდველია, ყველა ცდილობს, რომ კარგი საქონელი იაფად იყიდოს... მაგრამ მეც მართალი ვარ... მე რომ მიჭირს, იმისთანა გაჭირვება ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს, – ისე დარდიანად ლაპარაკობდა, თავი ვერ შევიკავე და ვკითხე:

– ისეთი რა გაჭირვება გადაგხდათ, ქალბატონო?

– ეჰ... მნახველის თვალს რომ გაახარებდა იმისთანა სახლ-კარი ნაცარტუტად მიქციეს სოხუმში. თან ქმარიც მომიკლეს... დამექცა ოჯახი, ბატონო... გავნადგურდი... შიშველტიტველები დავრჩით მე და ჩემი ორი მცირეწლოვანი შვილი... ნეტა მეც ჩემ ქმართან ერთად მოვეკალი და ამ შავ დღეში არ დავრჩენილიყავი საწამებლად და საწვალებლად, – ცრემლიანი თვალები ამოიწმინდა, – სოხუმში რომც დამაბრუნონ, სად მივიდე? სად შევაფარო თავი? ვის კარს მივაყენო ჩემი მამით ობლები? რა მოვუხერხო მიწასთან გასწორებულ სახლ-კარს, რომლის მშენებლობასაც ჯანი შევალიეთ მე და ჩემმა ქმარმა... ეს ოჯახდაქცეული ადამიანი წყალწაღებულივით ვეჭიდები ხავსს, მინდა, ცოტა ძვირად გავყიდო, იქნებ კაპიკებს მოვუყარო თავი, მაგრამ აბა როგორ? არ იყიდება! ვინ იყიდის ძვირად?.. მაპატიეთ, ბატონო, ჩემი დარდი რომ შემოგჩივლეთ. ვიცი ეს უტაქტობაა, მაგრამ უთქმელობაც ძნელი ყოფილა... აბა, რომელი პერანგი მოგწონთ, აარჩიეთ, ძვირად მაინც ვერ ვყიდი, წაიღეთ, როგორც გნებავთ.

მე შევარჩიე პერანგი, ქალბატონს ოცლარიანი გავუწოდე.

– იმდენი აიღეთ, რამდენადაც გაყიდვა გინდათ.

ვიდრე მე ნავაჭრს ჩანთაში ვდებდი, ქალბატონმა ხურდა გამომიწოდა.

– აქედან მხოლოდ ერთი ლარი დავიტოვე ჩემთვის, – თქვა მან.

მე ერთი ლარი კიდევ დავუდევი და გამოვტრიალდი.

ქალმა ლოცვა გამომაყოლა.

ხალხში მოვიკვლევდი გზას და ვფიქრობდი: ეეჰ, ხურდა არ უნდა გამომერთვა, მთლიანად უნდა დამეტოვებინა... მე ჭერი მაინც მახურავს თავზე... აბა ეს არის საქმე? კაცს პატარა სიკეთის გაკეთების სურვილი გქონდეს, შესაძლებლობა კი – არა...

სუფრის წევრები ჩაფიქრებულები მომჩერებოდნენ. ვიდრე რაიმეს მეტყოდნენ, მე ვკითხე:

– მეორეც გიამბოთ?

– თქვი, თქვი...

– შარშან ზაფხულს გმირთა მოედანზე საბურთალოსკენ მიმავალ ტროლეიბუსში ავედი. ბევრი მგზავრი არ იყო, მაგრამ ახალასულებს მაინც ფეხზე დგომა მოგვიხდა. არ გაგვევლო ორმოციოდე მეტრი და დენი გამოირთო.

მძღოლმა კაბინიდან გამოიხედა:

– ა, კიდევ გამოირთო... ეს საქმეა?.. რაც ბოლო გაჩერებიდან გამოვედი, უკვე მეორედ გამოირთო. ასე მუშაობა შეიძლება? – ნერვებმოშლილი ლაპარაკობდა.

ვისაც ეჩქარებოდა, ჩასვლა დააპირეს, კარებთან არ იყვნენ მისული, რომ დენი ისევ ჩაირთო. ტროლეიბუსი დამფრთხალივით უცებ დაიძრა. ზეზე მდგომებმა წონასწორობა დავკარგეთ და ყველა წავბარბაცდით, ერთმანეთს მივაწყდით. უცებ ჩემს წინ კაცი აყვირდა.

– ვაიმე!.. ვაიმე!.. შენ ამოგიწყდეს ოჯახი, ეს რა მიქენი, შე ოჯახქორო?

აყვირებულის წინ მდგომი კაცი შემოტრიალდა და შეწუხებულმა უთხრა:

– ბოდიში, ბატონო, დიდი ბოდიში!.. არ მინდოდა, ჩემ უნებურად მოხდა...

– შე ოჯახდაქცეულო, წაგევლო ხელი რამესთვის, რაზე მომკალი კაცი. შენი ბოდიში მიშველის ახლა მე?.

– ვერ მოვასწარი, ბატონო, ვერ მოვასწარი.

– შენ ნუ მოესწარი ოჯახში მისვლას... ვაი, ვაი, ფეხი!..

– გამიშვით, ერთი, გამიშვით! – ვიღაცამ ხელი გამკრა, გვერდზე მიმაგდო და დაზარალებულს მიუხტა:

– ვინა ხარ, კაცო შენ? რა ჯიშის და ჯილაგისა ხარ? მურვან ყრუს შთამომავალი ხარ თუ აღამახმადხანის ნაშიერი? ფეხზე დაბიჯების გულისთვის კაცს როგორ ეუბნები ოჯახი დაგექცეს და ამოგიწყდესო? საქართველოში ოჯახებს კიდევ დაქცევა და ამოწყვეტა უნდა? მაგას რომ ოჯახი დაექცეს, შენ ფეხი მოგირჩება?

– მაზოლიან ფეხზე დამაბიჯა!.. შენ რა იცი, მე როგორ მეტკინა, – უთხრა ნირწამხდარმა.

– გეტკინა, მაგრამ ფეხი ხომ გაბია ისევ თავის ადგილზე? ხომ ხარ ცოცხალი?..

– თავი დამანებე, შენ ვიღაცა ხარ! სხვის საქმეში რას ეჩრები? – ხმას აუწია დაშავებულმა.

– შენ არც ლაპარაკი იცი, შე კამეჩის რქაში გაზრდილო? ოჯახზე როგორ ამბობ დაგექცესო? ვინ გაგზარდა, ვინ გასწავლა ასეთი ქალური წყევლა? შენ ბავშვობაშიც ასეთი ბოროტი იქნებოდი, ალბათ, მერცხლებს ბუდეებსაც სიამოვნებით ანგრევდი...

„კამეჩის რქაში გაზრდილმა" კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გაცხარებულმა კაცმა დაასწრო:

– ენა აღარ დაძრა, ხმა არ ამოიღო, თორემ... აქედან შენი ფეხით ვეღარ ჩახვალ, შე კაცთმოძულევ!

მძღოლმა კაბინიდან გამოიხედა:

– აბა, ვინ არის? ფეხზე დაბიჯებით ვინ კვდება? გაუშვით, გაატარეთ, ძირს ჩავიდეს, თორემ მაგას მეორე ფეხზედაც დააბიჯებენ.

დაშავებულმა მართლაც წინა კარისკენ გასწია. გაცხარებულმა მიაძახა:

– შენ ხალხში რა გინდა? ტყეში უნდა დადიოდე დათვივით, იქ არავინ დაგაბიჯებს.

დაშავებული სპორტის სასახლესთან მართლაც ჩავიდა.

– უყურეთ, ერთი უყურეთ, როგორ მიდის, არცკი კოჭლობს, – თქვა ფანჯარასთან მჯდომმა ქალბატონმა.

სხვა მგზავრებმაც რაღაც თქვეს, მაგრამ ეს არ არის საინტერესო, – ვთქვი და ჭიქა ავილე, სანამ დავლევდი, თამადამ მკითხა:

– ვიდრე ის განრისხებული კაცი კამეჩის რქაში გაზრდილს მიუხტებოდა, ხომ იდგა შენ უკან?

– დიახ!

– კი მაგრამ, ვიდრე ის კაცი აღშფოთდებოდა, რატომ შენ არ დაასწარი? ის ამბავი ხომ შენ წინ ხდებოდა?

ასეთ შეკითხვას არ ველოდი და სახტად დავრჩი.

ვერაფერი ვუპასუხე.

– იცით, ასეთი „კამეჩის რქაში გაზრდილი" – რამდენი დადის ამ ქვეყანაზე?

– ჰო, აბა!.. აბა!..

– ახლა მეც ნერვები მომეშალა... – აღშფოთებულები ლაპარაკობდნენ.

მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ახლა არ უნდა გამეხსენებინა ეს ამბავი. მშვენიერ ხასიათზე ვიყავით, გულიანად ვიცინოდით. ბიჭებს განწყობილება გავუფუჭე – ვფიქრობდი, თან ისევ გარეთ ვუყურებდი ფანჯრიდან – „თეთრჩოხიანი მომღერლები" ახლა უძრავად აღარ იდგნენ. ამინდი შეცვლილიყო. ზამთრის სუსხიანი ქარი ტოტებს ურხევდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მომღერლებს გადაეფიქრებინათ სიმღერა. სამაგიეროდ, გერონტიმ სცადა სუფრისთვის ხალისის დაბრუნება. გახსნა შუბლი, წამოიწყო „სუფრავ, გაშლილო ლხინითა" – აჰყვნენ დანარჩენებიც. ხმაშეწყობილად მღეროდნენ თითქოს, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო. წელანდელი ეშხი და პეწი დაკარგული ჰქონდა ჩვენს თავშეყრას. ეს სიმღერა იცით, რას ჰგავდა? ლექსს რომ რითმებიც თავის ადგილზე აქვს, რიტმიც და მაინც არ არის ლექსი...

## ხელოვნება

# საერთაშორისო კინოფორუმი – სოჭში

სოჭში გაიხსნა საერთაშორისო კინოფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ „ახალი ტალღის" კინემატოგრაფისტები. წარმოდგენილია რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ამერიკის შეერთებული შტატების კინოსტუდიათა ერთობლივი წარმოების ფილმები, აგრეთვე, საქართველოს, ბელორუსიისა და ლიტვის ოსტატთა ნამუშევრები.

გენერალური დირექტორის მარინე ტრუბინას განცხადებით, ფორუმი იმისთვის იმართება, რომ მხარი დაუჭირონ დამწყებ კინემატოგრაფისტებს და განსაზღვრონ ახალი თაობის კინოს მოღვაწეთა ესთეტიკური და ინტელექტუალური პრიორიტეტები, რომლებიც ჩამოყალიბდა პოსტგარდაქმნის პერიოდში.

ფორუმის დამფუძნებლები არიან რუსეთის ფედერაციის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი, რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირი, სოჭის ადმინისტრაცია და მთელი რიგი სხვა ორგანიზაციები. კინოფორუმის პრეზიდენტია რეჟისორი ვლადიმერ ხოტინენკო, ვიცე-პრეზიდენტი – ახალგაზრდა კინემატოგრაფისტთა ასოციაციის თავმჯდომარე იური მოროზი. საკონკურსო ჩვენებაში მონაწილეობას მიიღებს 50-ზე მეტი ფილმი.

საინფორმი.

## პოეზია უპირველეს ყოვლისა

# დალილა ბედიანიძე

### ალაზნის ველზე

ალაზნის ველზე თენდება
და მზე ამოდის ნელა.
წარსული ისევ მაწუხებს,
მაგრამ მომავლის მჯერა.

გულზე კვლავ მიჭერს მარწუხებს
შეკითხვა ათასერთი,
მაგრამ ვიცი, რომ ღმერთია,
ყველას პატრონი, ღმერთი.

შენს თავს ვფიცავარ, ყვარელო,
და შენს, ალაზნის ველო!
რა ლელო გაგვაქვს, რა ლელო
პატარა საქართველო!

ამომავალი მზის მადლო,
შენ მოგვეფინე ყველას,
მე შენ მიყვარხარ იმად, რომ
ყველასთვის შენ ხარ შველა.

თორემ საშველი არა სჩანს
გაჭირვებული კაცის,
ყანაში დგას და არა სჩანს,
მკის, მნას კი მნაზე გვაწვდის.

ალაზნის ველზე თენდება,
მზეო, ამოდი მალე!
ისეთი დროა, მენება
გითხრათ, რაც გულში ვმალე.

ისეთი დროა, უნდა თქვა
თუ რამე შეგიძლია.
მეც მომკელი ვარ და ლექსი
ჩემს დღიურ სარჩოს ჰქვია:

წარსული წარსულს, დღე ამ დღეს,
ხვალემ იფიქრა ხვალის.
ალაზნის ველზე დილა
გამარჯვებისა არის.

### დედა

ჩემი პატარა მოხუცი დედა
დგას გზაზე და გზას მე მისკენ მივდევ.
პატარავდება, პატარავდება,
აღარ ჩანს დედა, დაბინდდა სივრცე.

რა პატარა ხარ, ჩემო ყვარელო,
ჩემსავით ვერვინ მოგეფერება,
რადგან შენ მზრდიდი მე სასახელოდ,
ჩემო ბავშვურო ბედნიერებავ.

უბერავს ქარი შემოდგომური,
სულში უბერავს ლექსების ქარი,
ჯერ კიდევ ყვავის ბანი გომურის,
ბანს ამლევს ბაღი, ყვავილთ ამქარი.

მწიფს აივანზე თითა ყურძენი,
სულში ლექსები მწიფე იწვიან,
ამ სილამაზეს თუ გავუძელი,
მუდამ ვიმღერებ, რაც შემიძლია.

ამ სილამაზემ თუ არ წამლეკა,
მე ვეტევი ყვარელს დიდი ხნის სათქმელს.
სულში ტრიალებს ცის ანარეკლად
ლექსი — ღვთიური და უღვთო საქმე.

ჩემი პატარა, მოხუცი დედა
დგას გზაზე და გზას მე მისკენ მივდევ.
წინ დიდი გზაა, პატარავდება
დედა და რჩება ყვარელში კიდევ.

### პეპელა

ყვავილზე დაფრინდა პეპელა ნელ-ნელა,
ნელ-ნელა დაფრინდა ყვავილზე პეპელა.

პატარა ყვავილი ყანის განაპირას
პეპელას ელოდა, პეპელა ატირა.

პატარა ყვავილმა, ყვავილმა ლამაზმა,
იგი არ მოწყვიტა მომწყვეტმა ათასმა,

ისე მშვენიერი იყო ის ყვავილი,
იმ ადგილისაკენ როდესაც გავივლი

მუდამ მაგონდება — პეპელა ნელ-ნელა,
ნელ-ნელა დაფრინდა ყვავილზე პეპელა.

* * *

მწიფს ყურძენი მზე-წვიმასთან
და ქარებთან სიყვარულით დაღლილი,
მწიფს ყურძენი გულში კაცთა,
სექტემბერი მოქრის დროის ალვირით.

ჩაიქროლებს ვენახებში რთვლის ეტლით და
მღერის ანცი ბალღივით.
აღარ მოვა წელს მეტი და
მწიფს ყურძენი სიყვარულით დაღლილი.

* * *

ტკივილებისთვის ვერ გაგიმეტებთ,
მე ვერ მოგახვევთ ჩემს ტკივილს თავზე.
ეს — გაუმარჯოს ყველას იმედებს,
ბედნიერებას და სილამაზეს!

მე თუ რამ მტკივა, თქვენს გამო მტკივა,
და მხოლოდ თქვენთვის — თუ მიხარია.
ვიტევი და სიტევა პატრონთან მივა,
ჩემს მხარეს განა სულ სხვა მხარეა.

განა სულ სხვა ვარ, ერთი თქვენგანი,
ჩემი ლექსებით გემსახურებით,
კალამი მიმაქვს, როგორც — ერქვანი,
რტოზე ყვავილი ფეთქავს ულევი.

ჩემი და თქვენი რას გაუყვია,
მე მინდა, ბაღი სულ გიყვაოდეთ,
სიცოცხლე ჩვენი ისევ უხვია,
არ მომბეზრდება ყოფნა აროდეს.

არ მოგბეზრდებათ ერთურთის მზერა,
კაცი კაცისთვის არ არის მგელი.
კაცი — კაცითო, უთქვამთ და მჯერა,
ერთმანეთისგან სიკეთეს ველით.

სიკვდილი ყველას თვითონ იმეტებს,
მე ვერ მოგახვევთ ჩემს სიკვდილს თავზე.
ეს — გაუმარჯოს ყველას იმედებს,
ბედნიერებას და სილამაზეს.

### ისევ ყვარელს

მენატრება ყვარლის გზები,
სახლიც მენატრება,
ჩემს მაგიერ შენ შეხედე,
ჩემო კარგო დედა!

მენატრება ყვარლის მთები,
ზვრებიც მენატრება,
ჩემს მაგიერ მოეფერე,
ჩემო კარგო დედა!

მენატრება ჩვენი სკოლა,
კლასიც მენატრება.
ჩემს მაგიერ იქ შენ შედი,
ჩემო კარგო დედა!

მენატრება დურუჯი და ბურსაც*
მენატრება
ჩემს მაგიერ ხმა გაეცი,
ჩემო კარგო დედა!

მომიკითხე ყვარლელები,
თხოვნას გაგიბედავ,
მათებურად მოუქციე
ჩემო კარგო დედა!

კახეთი და თან ყვარელი
როგორ მენატრება,
ჩემს მაგიერ მანდ შენ დარჩი
ჩემო კარგო დედა!

მონატრების ცრემლი მითრთის
თვალებსა და სულში,
რა ვქნა, ხომ ვერ დავრჩებოდი,
სულ შინ, სულ შინ, სულ შინ!

მენატრება ყვარლის მთები,
გზებიც მენატრება.
მე აქედან ვეფერები,
შენ მანდ, ჩემო დედა!

---

* ბურსა მდინარეა ყვარელში.

## აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

# ჩემთან ვინმე მაწანწალა ხომ არ მოსულა?

მაღალი, აწოწილი კაცი იყო. პურის მაღაზიასთან ცხოვრობდა. ომამდე მგონი არც შემხვედრია. ომის დროს სულ პურის მაღაზიასთან ვხედავდი. წითელი სამკლაური ეკეთა ხოლმე. ისე, ეფექტისთვის. რიგს აწესრიგებდა. ჯერ პურს დაითვლიდა, მერე რიგში მდგომთ. გადაამრავლებდა, გადმოამრავლებდა და ყველას თანაბრად შეახვედრებდა.

მაგრამ მერე და მერე გართულდა საქმე. რიგში ხალხი მატულობდა, პური კი კლებულობდა. ნახევარ-ნახევარი მიჰქონდა ხალხს. ზოგს – სულ არაფერი. ასეთ დროს წითელსამკლაურიანი კაცი ბრაზიანი და ნერვიული ხდებოდა, ომს წყევლიდა. ცოლი დაუტატანებდა, რა ქალივით იწყევლებიო. ცოლიც სულ მის გვერდით იყო, ცოლიც და სამი პატარა ბავშვიც. არც ერთი მათგანის სახელი არ მახსოვს, უმცროსი ბიჭისა კი დამამახსოვრდა. გამოტანტალდა ერთ დღეს ეზოდან პერანგისამარა, ნამძინარევი. ცალ-ცალი ფეხსაცმელი ეცვა. შავი და ხუჭუჭთმიანი იყო, გაბუშტული წითელი ცხვირით და დაფეთებული თვალებით. რაღაცნაირი ბავშვი იყო, საყვარლად უშნო.

– ვანიჩქა, შედი ახლავე შინ, – დაუძახა დედამ.

– არ მინდა, არ მინდა, – დააბაკუნა ფეხები ვანიჩქამ, იქვე ასფალტზე დაჯდა და ტირილი მორთო.

რიგში ორას ოცი კაცი ვიდექით. კარგად მახსოვს, წითელსამკლაურიანმა დაგვთვალა.

მაპატიეთო,– ორას ოციევს მოგვიხადა ბოდიში ვანიჩქას დედამ, ახალგაღვიძებულია და ჭირვეულობსო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვაპატიეთ ვანიჩქას უადგილო ტირილი, გავუცინეთ, დავუყვავეთ, მოვეფერეთ.

– ხო-ხო-ხო, ნუ გადაყვევით ახლა, მე არ ვაჩვევ ბავშვებს მოფერებას, – გვითხრა წითელსამკლაურიანმა და უმალ თავის საქმეს მიაშურა, რიგში წესრიგი აღადგინა.

სოხუმის ბაზარი პირველად რომ დაიბომბა, წითელსამკლაურიანის ცოლ-შვილი იმ დღეს დაიღუპა – ბაზარში ყოფილიყვნენ.

ვანიჩქას ბაზარში წაყვანა არ ენდომებოდა დედამისს, მაგრამ ძალით გამოჰკიდებოდა.

ვანიჩქა, არ წამოხვიდეო, – შეეხვეწა ალბათ დედა. ისეთი კერკეტი ბავშვი ჩანდა, რას დაუჯერებდა.

არ მავიწყდება, ცალ-ცალი ფეხსაცმლით რომ გამოტანტალდა ეზოდან, პირდაღებული და გაკვირვებული.

მას მერე წითელსამკლაურიანის ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო.

თბილისის ქუჩები ხომ სავსეა მათხოვრებით, არც ერთი მათგანი სახით არ ვიცი. თვალდახუჭული ჩავუვლი ხოლმე, მათი ტკივილიანი სახე რომ არ ჩამყვეს და სული არ ამიფორიაქოს. სინამდვილიდან გაქცევაა, არა? კი, გეთანხმებით, მაგრამ მე ეს მშველის, წონასწორობას მინარჩუნებს.

იმ დღესაც [illegible] ქვა მინდოდა და უცებ წითელი სამკლაური დავინახე. როგორ [illegible] სამკლაურით გამოვარჩევდი.

ის იყო. თავდახრილი იჯდა და წინ ქუდი დაედო. სამკლაურით, თორემ, აბა ისე რას ვიცნობდი ჩამოძენძილს, მიხრწნილ ბერიკაცს დამსგავსებულს. მე დავინახე კაცი, რომელსაც ცხოვრება არ უნდა, მაგრამ თავესაც ვერ იკლავს.

არაფერი შერჩენოდა ძველებური, სამკლაურის გარდა, რასაც ალბათ სახსოვრად ატარებდა. თუმცა, რატომ არაფერი: ქუდში ჩაყრილი ხურდა რომ გადათვალა, ნაცნობი მოძრაობა ვიცანი: ასე გვთვლიდა ხოლმე, რიგში ჩამდგარებს.

იმ დღის მერე იქით აღარ გამიხედავს. ნელ-ნელა კიდევაც გადამავიწყდებოდა, ბრძენი კოლია რომ არა. მირეკავს ერთ დღეს კოლია, ჩემი სოხუმელი მეზობელი, შეგიძლია ერთ საქმეში დაგვეხმარო, კაცმა წიგნი დაწერა და გაუსწოროო?

ვინ კაცმა-მეთქი. სოხუმში, საპროექტოში ერთად ვმუშაობდით, მხაზველი იყოო. პურის მაღაზიასთან ცხოვრობდა, ცოლი და სამი შვილი ერთად დაეღუპაო. ყველაფერზე ხელი ჩაიქნია, გამათხოვრდა. ახლა მათხოვრების ცხოვრებაზე წიგნი დაუწერია. ისეთი ნიჭიერი კაცია, მისი დაწერილი ურიგო არ იქნება, გთხოვ, ყურადღებით წაიკითხოო. თუ რამედ ვარგა, იქნებ გამოჩნდეს ვინმე და გამოსცესო. თვითონ მას დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიაო.

კოლია პოეტია. ლექსებს ბერძნულად და რუსულად წერს. ქართული ცუდად იცის და ამიტომაც მთხოვს.

ველოდები. დღეს უნდა მოვიდეს რედაქციაში წითელსამკლაურიანი და თავისი წიგნი მოიტანოს.

ვუთხრა, რომ ვიცანი? გამიჭირდება თქმა.

ვერა და ვერ დავივიწყე ის ბავშვი, ცალ-ცალი ფეხსაცმლით რომ გამოტანტალდა, დედამისმა ორას ოც კაცს ბოდიში რომ მოგვიხადა, ტირილი აპატიეთო. ეჰ, რა საჭირო იყო, ეს ყველაფერი მენახა და მერე ასე ძალიან მტკენოდა გული.

იგვიანებს. დაცვა კი გავაფრთხილე, მაგრამ იქნებ არ ამოუშვეს. ანკი, ვინ ამოუშვებდა. როგორ ვერ მოვიფიქრე. საშვთა ბიუროში ვრეკავ და ვეკითხები: – ალო, ჩემთან ვინმე მაწანწალა ხომ არ მოსულა?!..

**მზია გელენავ**

საქართველოს რესპუბლიკა
№50, კვირა, 2 მარტი, 1997 წელი.

## კონკურენცია

*ეს აზრი მაშინ დამებადა, როცა თემურ კენჭაძეს — თბილისის მეხუთე პურის ქარხნის დირექტორს პურის პრობლემებთან დაკავშირებით ზოგიერთ საკითხზე ვესაუბრებოდი. პრობლემას ვამბობ, თორემ დღეს პურსა და ფქვილზე პრობლემები რომ მოხსნილია, ეს ქვეყანამ იცის. ზოგს რომ ეგონა, პურის ფასების ლიბერალიზაცია თუ მოხდა, მოსახლეობა დაიმშევაო, არ გამოდგა სწორი. თუ ფული გაქვს, იყიდე პური, როგორიც და რამდენადაც გსურს.*

*რაც შეეხება ხალხურ სიბრძნეს — ჭამა ქონაზე ჰკიდიაო, სწორედ ამ წყობილებისთვის გამოდგა ზედგამოჭრილი. თუმცა ეს სულ სხვა საკითხია, დღეს კი, მოდით, პურის პრობლემებს ნუ გადავუხვევთ.*

პირველ რიგში პურის ხარისხით დავინტერესდი: როგორ ხდება, რომ მაღაზიებში ყოველთვის ახალი პური იყიდება, თანაც მრავალი ფორმისა და ასორტიმენტისა?

– ასე იცის კონკურენციამ, – მეუბნება ბატონი თემური, – აბა სცადე და უხარისხო პური გაუგზავნე მაღაზიას, მეორედ შენგან აღარავინ წაიღებს. ახლანდელ ცხოვრებაში კი თუ პროდუქცია ვერ გაასაღე, ისღა დაგრჩენია, დაიხურო ქუდი და შინ წახვიდე. არ დაგიმალავთ, დღეს ერთი ჩვენი მუშაკი, რომელიც გასაგზავნ პარტიაში რამდენიმე ცუდად გამომცხვარი პურის შერევას აპირებდა, გაცხარებისგან კინაღამ „გავეროზგე". ვიცი, რაჭველ კაცს ასეთი აპილპილება არ მეკადრება, მაგრამ, როცა რომელიღაც დაუდევარი მუშაკი ქარხნის სახელს არ უფრთხილდება და მომხმარებელს მდარე პროდუქციას სთავაზობს, სხვა საშველი აღარაა. ეს მარტო პრესტიჟის საქმე არ გახლავთ, ასეთი მოქმედებით ის მთელ საწარმოს უქადის დაღუპვას.

რა თქმა უნდა, ეს მარტო ჩვენს ქარხანას არ ეხება. დღეს თბილისში ვერ ნახავთ პურის საწარმოს, რომ ეს პრობლემა არ აღელვებდეს და ფაქტობრივად გადაწყვეტილიც არ ჰქონდეს. ამის დასტურია თვით მომხმარებელი, რომელიც იმდენად განებივრდა, რომ ღამით გამომცხვარ პურს აღარ ყიდულობს. ჩვენც ვითვალისწინებთ მის მოთხოვნებს და მხოლოდ ახალ-ახალ პურს ვუგზავნით.

***— დიახ, საბაზრო ეკონომიკას, კონკურენციას თავისი კანონები აქვს და მას ყველა უნდა ემორჩილებოდეს. თუმცა, თქვენ, როგორც დედაქალაქის პურის მრეწველთა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს, ამ კანონის აღსრულებაში შეუძლებელია ერთგვარი წვლილი არ შეგქონდეთ.***

– კი, ვცდილობთ საბაზრო ეკონომიკას მოვერგოთ და ზოგ რამეს პრაქტიკულადაც ვაგვარებთ. ეს უფრო ისეთ საკითხებს ეხება, რომლებიც პურის ქარხნებისთვის თანაბრად მტკივნეულია და დროულ გადაწყვეტას საჭიროებს.

***— როგორც ვიცი, თქვენი საბჭო ამ ორი წლის წინათ შეიქმნა.***

– ეს თვით ქარხნების ხელმძღვანელთა სურვილითა და ქალაქის მერიის ხელშეწყობით მოხდა.

***— თბილისის ყველა პურის საცხობია საბჭოში გაერთიანებული?***

– არა. მხოლოდ პურის ყოფილი სახელმწიფო საწარმოები და წისქვილკომბინატები. ამან იმდენად კარგი შედეგი გამოიღო, რომ ჩვენი წაბაძვით პურის მცხობელთა რესპუბლიკური საბჭოც კი შეიქმნა.

***— რისთვის წაგბაძეს, საბჭომ მაინც რა საკითხები და პრობლემები გადაწყვიტა?***

– მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. აქ, ალბათ, უმჯობესია ვთქვათ იმ პრინციპის თაობაზე, რომელსაც მუშაობაში ვიყენებთ. პრინციპი კი ასეთია: ქარხნები აკეთებენ განაცხადს, ვთქვათ, საფუარის სათადარიგო ნაწილის, საწვავის ან სხვათა შესახებ, რომლებსაც თავს უყრის საბჭო, აანალიზებს და შემდეგ ერთიან მოთხოვნას უგზავნის მომწოდებელს. ეს, რა თქმა უნდა, საქმეს უიოლებს როგორც დამკვეთს, ისე მომწოდებელს, ამცირებს დროისა და თანხების დანახარჯებს (მათ ხომ ეს ცალ-ცალკე უნდა გაეკეთებინათ).



# თეიმურაზ კენჭაძე:
# ცოტა იკმარე, შე დალოცვილო!

***— დარწმუნებული ვარ, სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც გამოჩნდება...***

– თუ უკვე არ გამოჩნდა. გახსოვთ, ალბათ, თავის დროზე რა აჟიოტაჟი იყო ატეხილი პურით ვაჭრობაში საბარათო სისტემის შემოღების თაობაზე. ბევრი ამას შიშით უყურებდა, ეჭვობდა, რომ ვერ გაამართლებდა და მოსახლეობა კიდევ უფრო უარეს დღეში ჩავარდებოდა. ჩვენმა საბჭომ მაშინ ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში თავისი სიტყვა თქვა და არცთუ უშედეგოდ. თუ რა როლი შეასრულა ამან იმ მწვავე ვითარებიდან თავის დასაღწევად, დღეს ეს ყველასათვის ნათელია.

შარშან, როცა დადგა პურის ქარხნების პრივატიზების დრო, ჩვენ უფრო საჭირბოროტო საკითხსაც შევეჭიდეთ. საქმე ეხებოდა პურის საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნას და მათი კოლექტივების ინტერესების დაცვას. იმ პერიოდში, ისევე, როგორც ბევრ სხვა დარგში, აქაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც მოისურვეს პურის ქარხნების ქონების იოლი გზით დასაკუთრება, მაგრამ რომ იტყვიან, ფეხი არ ჩაუვიდათ. საბჭო მტკიცედ დადგა საწარმოთა კოლექტივების მხარეზე და საკითხი განსახილველად მთავრობის წინაშე დააყენა. საქმე ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდა – პურის ქარხნები და წისქვილკომბინატები იჯარით, შემდგომში კი გამოსყიდვის უფლებით გადაეცათ შრომით კოლექტივებს.

ამით დიდი საქმე გაკეთდა. საწარმოთა მეპატრონენი გახდნენ (აქციების 51 პროცენტი მიიღეს) არა უცხო პირები, არამედ მათივე კოლექტივები, რომლებიც ათეული წლების მანძილზე ქმნიდნენ უპირველეს სასურსათო პროდუქციას და რომლებსაც მდიდარი პროფესიული და სოციალური თანაცხოვრების ტრადიციები გააჩნიათ.

***— ეს მართლაც კარგი საქმეა, მაგრამ ვისაც როგორ უნდა, ისეთ ფასს რომ ადებს პურს, ამაზე რას იტყვით?***

– ფასები ახლა თავისუფალია. სხვათა შორის, ესეც ჩვენმა საბჭომ ითავა. მთავრობაში მხარი დაგვიჭირეს. მიღებულია სპეციალური დადგენილება, რომლის თანახმადაც 17 თებერვლიდან პურზე ფასები თავისუფალია.

***— ესე იგი, ვისაც როგორ მოესურვება, პურს იმ ფასად გაყიდის?***



თონეში.

ბესიკ კეზერაშვილის ფოტო.

– დიახ, საწარმო ფასში შეზღუდული არ არის, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელს, რომელიც ისედაც გაჭირვებულია, ტყავი გავაძროთ. ეს რომ არ მოხდეს, საბჭოში შემავალი ქარხნები შევთანხმდით (ქალაქში ამინდს სწორედ ისინი ქმნიან) და მაღაზიებს 700-800-გრამიან პურს საბითუმო ფასით (41-42 თეთრი) ვაძლევთ. თუ მაღაზიები ძველებური სავაჭრო დათმობით იმუშავებენ (5 პროცენტი) და ერთ პურზე 2,5 თეთრ მოგებას იმყოფინებენ, მაშინ პურის ფასი კი არ გაიზრდება, პირიქით, შემცირდება.

***— მაგრამ სჯერდებიან ასეთ მოგებას?***

– არა. ახლა მაღაზიები დასახელებულ პურს 45-50 თეთრად ყიდიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ სავაჭრო დათმობის აღრინდელი 5 პროცენტი 10 პროცენტამდე გაზარდეს. ასე თუ გაგრძელდა, ჩვენ მყიდველს დავკარგავთ, მაღაზიები კი მოგებას.

***— როგორ ფიქრობთ, ამ საქმეს ვინ უნდა მიხედოს?***

– ალბათ, ქალაქის ხელმძღვანელობამ. პურის ფასზე უნდა დაწესდეს რაღაც „ჭერი" და უფრო ძვირად აღარ უნდა გაიყიდოს. მაღაზიამ დილით შეიძლება ცხელი პური 50 თეთრად გაყიდოს, მაგრამ საღამოთი, როცა პროდუქცია ცივდება და ხარისხსაც ერთგვარად კარგავს, რატომ არ შეიძლება ფასს ცოტა დაუკლოს?

***— მართალი ბრძანდებით, ოლავაც ხარ, სულ ხომ არ მოიგებ, ზოგჯერ იზარალე კიდეც.***

ამ საუბარში რომ ვიყავით, იქვე მაგიდაზე გაშლილი სხვადასხვა ასორტიმენტის პურით დავინტერესდი. აი, ამ რუხ მურა პურში, მაგალითად, რომელიც 600 გრამს იწონის, მაღაზიები 28 თეთრს იხდიან, თვითონ კი თურმე 45 თეთრად ჰყიდიან (სინდისი აღარ არის?). ეს პური რომ 32-35 თეთრად იყიდებოდეს, ქარხანა მას ერთი ტონის ნაცვლად 3-4 ტონას გამოაცხობს – საწარმოც მოგებული დარჩება, მომხმარებელიც და გამყიდველიც.

– ვერ გამიგია, რატომ სჩადიან ამას. ცოტა მოგება იკმარე რა, შე დალოცვილო! – ამბობს თეიმურაზ კენჭაძე.

თუმცა მაღაზიებში მარტო ეს სტიმული არ ამოძრავებთ. წვრილი საცხობები, რომლებსაც პროდუქციის წარმოება იაფი უჯდებათ (ხშირად ელექტროენერგიის გადასახადს არ იხდიან, შემოსავლებს მალავენ და სხვა), მაღაზიებს პურს 20 პროცენტის სავაჭრო დათმობით აძლევენ. ამას ეხარბებიან ვაჭრობის მუშაკები და ქარხნებიდან პურის შესყიდვას უფრო და უფრო ამცირებენ. შედეგიც ნათელია, მარტო მე-5 პურის საწარმოში სადღეღამისო პურის ცხობის მაჩვენებელი 50 ტონიდან 25 ტონამდე შემცირდა.

ხაბაზებს სხვა პრობლემებიც აწუხებთ. ქარხნები გაზის, ელექტროენერგიის, ფქვილის ფულს წინასწარ იხდიან, მაღაზიებიდან კი გაყიდული პურის საფასური თვის ბოლომდე არ შემოდის. რატომ? პური ხომ ის პროდუქტია, რომელიც იმავე დღეს იყიდება? ასეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვაჭრებმა ფულის ყადრი უკეთესად იციან – მას მთელ თვეს ატრიალებენ, სარგებელს ნახულობენ და შემდეგ აბრუნებენ.

ამ სიძნელეების მიუხედავად, პურის საწარმოები მაინც ახერხებენ დროულად, თანაც ახალ-ახალი პური მიაწოდონ მომხმარებელს (როგორც სატვირთო მანქანებით, ისე ფურგონ-„მოსკვიჩებით"), იმუშაონ მოგებით, ყველა გადასახადი დროულად გადაიხადონ. შარშან ქვეყნის ბიუჯეტში მარტო მეხუთე პურის ქარხნიდან 200 ათასი ლარი შევიდა, წლეულს ორ თვეში – 32 ათასი ლარი. ეს ცოტა არ არის.

შეიძლება ითქვას, პურის მრეწველობაში მიმდინარე რეფორმამ გაამართლა. ამით, როგორც ზემოთაც ვთქვი, ბევრი პრობლემა მოეხსნა როგორც წარმოებას, ისე მოსახლეობას. თუმცა ბაზრობებზე და მეტროს სადგურებთან პურის ხელზე მოვაჭრეთა საკითხი კვლავაც გადაუჭრელი დარჩა. ალბათ, იმიტომ, რომ სანეპიდსადგურები, რომლებსაც პურით ვაჭრობაში ჰიგიენური ნორმების დაცვა ევალებათ, ამ საქმისადმი მაინცდამაინც ყურადღებას არ იჩენენ.

*ვიდრე საწარმოდან წამოვიდოდი, ერთი „უბრალო" საკითხითაც დავინტერესდი. ამ ბოლო დროს საბანკო რეკვიზიტებში და სხვაგანაც, პურის მე-5 ქარხანა რატომღაც „ლომთიდოდ" მოიხსენიება. რატომ და რისთვის დაერქვა მას ეს სახელი?*

*ბატონმა თემურ კენჭაძემ მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით ამიხსნა: „ლომთიდო" მაღალმთიან რაჭაში შეყუჟულ პატარა სოფელ ჭყვიშში (ჩემი წინაპრები იქიდან არიან წამოსული) მორაკრაკე ანკარა წყაროს სახელია. პური და წყალი კი, მოგეხსენებათ, ადამიანთა მოდგმის უპირველესი და უწმინდესი საზრდოა. მინდა ამ უწმინდესი საზრდოს ერთ-ერთი პირველწყარო ჩვენი საწარმოც იყოს.*

*ნამდვილად კაცურ-კაცური სურვილია.*

**ოთარ ხუციშვილი.**

№50, კვირა, 2 მარტი, 1997 წელი.



უჩვეულო მეცადინეობა ჩაუტარეს სმენადაქვეითებულ და უსინათლო ბავშვებს – ინტერნატების აღსაზრდელებს მოსკოვის ზოოპარკის მუშაკებმა, რომლებმაც ბავშვებს მიუყვანეს ცხოველები და გააცნეს მათი მოვლის წესები.

## ვის ჰგვანან უცხოპლანეტელები

ლონდონის ყოველკვირეული „სანდი ტელეგრაფი" წერს წიგნზე, რომელიც გამოუშვა **უფო**-ს (უცნობი მფრინავი ობიექტი) და კოსმოსელი სტუმრების მკვლევარმა ამერიკელმა მეცნიერმა პატრიკ ჰიუიგმა. მან გააანალიზა უკანასკნელი ორმოცდაათი წლის მანძილზე ადამიანთა წარმოდგენები კოსმოსელების შესახებ და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლა დედამიწელთა უმრავლესობას ისინი წარმოუდგენია პატარა რუხ კაცუნებად, რომლებსაც ვეებერთელა ოვალური თვალები აქვთ. 40-იან და 50-იან წლებში კოსმოსელებს წარმოსახავდნენ რეპტილიებად და - ყოველ შემთხვევაში,- არა ჰუმანოიდებად. მეცნიერის აზრით, უცხოპლანეტელის ხატის ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს დრო და ქვეყანა. მაგალითად, მთვარეზე ადამიანთა პირველი გადასხმის შემდეგ, ამერიკაში უცხოპლანეტელებს გარეგნობით აიგივებდნენ ასტრონავტებთან. შოტლანდიაში კი რატომღაც დარწმუნებული არიან, რომ უცხოპლანეტელები... გუდასტვირს (?) უნდა ჰგავდნენ.

## მშვიდობით, ბოშათა [illegible]



რუმინეთში გარდაიცვალა იოანე ჩოაბე – „საერთაშორისო მეფე", „ბოშათა ერთიანობის სიმბოლო". ბოშებს შორის ექვსი თვით შეწყდა ქორწილები და ნათლობები, ყველას აეკრძალა მუშაობა.

ტრადიციისამებრ, „ტახტზე" უნდა ავიდეს განსვენებულის შვილი – ფლორინი, მაგრამ ჩოაბეს ძველმა მეტოქემ – „საერთაშორისო იმპერატორმა" იულიან რედულესკუმ უკვე გამოთქვა ეჭვი „ბოშათა უფლისწულის" კანდიდატურის მართლზომიერებაში.

## ლუდი თურმე... ახდუნებს

ლუდს უსამართლოდ აბრალებენ მისი მოტრფიალეებისათვის ღიპის გაჩენას, წერს ბრიტანული „ტაიმსი". ლუდის დადებითი მხარეები დიდხანს უცნობი იყო იმის გამო, რომ ამ უძველესი სასმელის ხსენებაც კი ლუდხანებში ღიპიან სტუმართა ასოციაციას იწვევდა. მაგრამ ალკოჰოლიკებს მუცელს უბერავს არა ლუდი, არამედ ალკოჰოლის ზემოქმედება კუჭზე. უელსის უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ ვილიამსის აზრით, ალკოჰოლი კუჭს უგრძნობს ხდის და ადამიანს უქრება დანაყრების შეგრძნება. მიუხედავად ამისა, დღეში ნახევარი ლიტრი ლუდი არათუ არ მოგიმატებთ წონას, არამედ დაგეხმარებათ კიდეც მოიშოროთ ზედმეტი კილოგრამები, გვარწმუნებს პროფესორი. ლუდი - ეს არის უაღრესად ჯანსაღი სასმელი, რომელშიც არ შედის ცხიმები და შაქარი, სამაგიეროდ, იგი უხვად შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებსა და ვიტამინებს. იგი გაზიან ვაჟინზე უფრო სასარგებლოა, ვინაიდან არ იწვევს კარიესს და არ შეიცავს ხელოვნურ დანამატებს. ლუდმა ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს ულუფაში, დაასკვნის „ტაიმსი"

## ლებედი – რემბო თუ სახელმწიფო მოღვაწე?

ჰოლივუდს რუსი გენერლის როლის შესასრულებლად მსახიობი რომ დასჭირვებოდა, ალბათ, ალექსანდრე ლებედზე შესაფერის კანდიდატურას ვერ იპოვიდა, წერს „კრისჩენ საიენს მონიტორი", მაგრამ „სარგადაულაპული ალნაგობის, კასრივით მკერდისა და ვოლგის ბურლაკის ხაფის ხმის მქონე გენერალს, რომელიც ვიზიტად ეწვია პარიზს, მხედველობაში სულ სხვა რამ ჰქონდა -სახელდობრ, ბორის ელცინის თანამდებობა. საპრეზიდენტო კამპანიის საზღვარგარეთ დაწყება - ეს არახალი იდეაა რუსი პოლიტიკოსებისათვის, აღნიშნავს გაზეთი. ელცინი 91-შიც და 96-შიც დასავლელი ლიდერების მხარდაჭერის იმედად იყო თავისი წარმატებული საპრეზიდენტო კამპანიების დროს. დღეს ლებედი ცდილობს იგივე ხერხი იხმაროს და, „კრისჩენ საიენს მონიტორის" აზრით, ამას ახერხებს. ჯერ იყო და, ფრანგულმა პრესამ ლებედი მონათლა „წითელარმიელ რემბოდ", მაგრამ გენერალმა შეძლო ფრანგების სიმპათია გამოეწვია თავისი მსჯელობით მოვალეობის, ღირსებისა და სამშობლოსათვის სიამაყის შესახებ. როგორც კონსერვატიული „ფიგარო" აღნიშნავს, „ყველა მოელოდა, რომ შეხვდებოდა ძველ ჯარისკაცს, მაგრამ ნახეს- სახელმწიფო მოღვაწე". ლებედს ახლა „თავი წარმოუდგენია თეთრ ბედაურზე ამხედრებულ ბრჭყვიალა აბჯრით შემოსილ რაინდად, მაგრამ კაცმა არ იცის, როგორ მოიქცევა იგი, თუ ხელისუფლების სათავეში დადგა", წერს დასასრულ „მონიტორი".

## 86 წლის კუსტო „კალიფსო II"-ს აშენებს

ცნობილმა ფრანგმა მეცნიერმა ჟაკ ივ კუსტომ სასამართლოში უჩივლა სინგაპურის გემთსაშენს, სადაც გასული წლის იანვარში ჩაიძირა მისი ხომალდი „კალიფსო", იუწყება როიტერის სააგენტო. „კალიფსო", ბრიტანეთში აშენებული ყოფილი მტრალავი გემი, გამოჩენილ ზღვაოსანს ემსახურებოდა 1950 წლიდან. სინგაპურში კუსტო უნდა მომზადებულიყო სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ექსპედიციისთვის, მაგრამ გემთსაშენის აკვატორიაში მისი ხომალდი ბარჟას დაეჯახა, რის შედეგადაც „კალიფსო" ჩაიძირა. ახლა 86 წლის მეცნიერი აგროვებს 20 მილიონ დოლარს ახალი ხომალდის „კალიფსო II"-ის ასაშენებლად.



ამ რამდენიმე დღის წინათ კუბელი „ბლევიკები" აღნიშნავდნენ კუნძულის თავზე ორი თავიანთი თვითმფრინავის აფეთქების წლისთავს. ამასთან დაკავშირებით ჰავანიდან სამხედრო კატარღით გავიდა უცხოელ და კუბელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რათა შეემოწმებინათ, ხომ არ არღვევენ დღესასწაულის მონაწილენი კუბის ტერიტორიული წყლების საზღვრებს.



რუსეთს უმაგალითოდ მოედო ტოქსიკომანია, მათ შორის, ყმაწვილებში.

სურათზე: უსახლკარო ბიჭუნა წებოს ოხშივრით იბრუებს თავს.

## დეზერტირებს – შეღავათი და მოქალაქეობა!

გერმანიის პარლამენტმა და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება, არ გაასახლონ ქვეყნიდან რუსეთის მოქალაქენი, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან გაიქცნენ. გერმანული გაზეთის „ექსპრესის" ინფორმაციით, ამგვარი გადაწყვეტილების მიღება გამოიწვია იმ ექვსასზე მეტი რუსეთის მოქალაქის გაურკვეველმა ბედმა, რომლებიც დღემდე იმყოფებიან გერმანიის ტერიტორიაზე. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს, რომ, ალბათ, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ყოფილ საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებს – დეზერტირებს მიეცემათ პოლიტიკური თავშესაფარი, ვინაიდან სამშობლოში მათ სისხლისსამართლებრივი დევნა მოელით. გერმანიის კანონების მიხედვით, საბჭოთა არმია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფებოდა საკმარისი საფუძვლების გარეშე და მისი რიგებიდან დეზერტირობა არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. გაზეთის აზრით, გერმანიის ხელისუფალთა ასეთმა ნაბიჯმა არ უნდა გაანაწყენოს რუსეთი, ვინაიდან ჯარების გაყვანის მომენტიდან ეს საკითხი არც ერთ მოლაპარაკებაზე არ წამოჭრილა და, როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლებმა უკვე კარგა ხანია დაივიწყეს თავიანთი მოქალაქეების ამ ნაწილის ბედი.

## დავალიანების პრობლემას ვერაფერი უშველის

გაზეთი „დი ველტი" აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება რუსეთში ხელფასისა და პენსიების დავალიანების პრობლემას. გაზეთის აზრით, რუსეთის სახელმწიფო ხელმძღვანელის დაპირებას, რომ გაუსტუმრებს მთელ დავალიანებას საბიუჯეტო სფეროს მუშაკებსა და პენსიონერებს 1 ივლისამდე, არ გააჩნია რეალური ეკონომიკური საფუძველი. გაზეთი აგრეთვე აღნიშნავს: საერთო დავალიანება უკვე ისე დიდია, რომ მის დასაფარავად სახსრებს ვერ გამოძებნიდა ეკონომიკური თვალსაზრისით ვერც ერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფო, ხოლო რუსეთზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. თავისი დასკვნის დასადასტურებლად გაზეთს მოჰყავს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის გამონათქვამი ქვეყანაში ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ. მისი აზრით, წარმოშობილი დავალიანების დაფარვა შეუძლებელია არათუ უახლოეს დროში, არამედ თვალსაწიერ მომავალშიც. ასეთი მდგომარეობა, მისი თქმით, იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყნის საფინანსო სისტემა ვერ ამუშავდება, სანამ არ განხორციელდება არა მარტო ფინანსების, არამედ აგრეთვე მთელი ეკონომიკის ძირეული რეფორმები. რამდენადაც ეს გარდაქმნები ჯერ არ დაწყებულა, ბუნებრივია, რომ ისინი ვერ დამთავრდება მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა-ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
**არჩილ მანჯგალაძე**

## ამინდი

# გაზაფხული მობრძანდა

დღეს მარტი – გაზაფხულის პირველი თვე. კლიმატური მონაცემებით, მარტი საქართველოს ტერიტორიაზე, თებერვალთან შედარებით, საშუალოდ 2-5 გრადუსით თბილია.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით, წლეულს, მარტში ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში მოსალოდნელია 1-დან 2 გრადუსამდე დაბალი, საშუალო მრავალწლიან მაჩვენებელზე, ქართლის ვაკესა და კახეთში – მასთან ახლოს. პირველსა და მეორე დეკადაში შესაძლებელია ტემპერატურის დაკლება ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 0-4, მთიან რაიონებში – 7-12, მაღალმთიან რაიონებში – 12-17 გრადუს ყინვამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში – 2-7 (შიდა ქართლში და შირაქის ველზე 5-10), მთაში – 11-16, ხოლო მაღალმთიან რაიონებში – 17-22 გრადუს ყინვამდე.

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში და შიდა ქართლში – მასთან ახლოს, ხოლო ქვემო ქართლსა და კახეთში – მასზე ნაკლები.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში მარტის თვის პირველ ნახევარში ჰაერის ტემპერატურის დაკლება 0-4 გრადუს ყინვამდე ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურებისათვის საშიში არ იქნება, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ხეხილის ვეგეტაცია არ განახლდება, ამიტომ მოსალოდნელი წაყინვები მათთვის საშიში არ იქნება. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებშიც ხეხილი ნელი ტემპით გააგრძელებს ვეგეტაციას. შესაძლებელია მარტის მესამე დეკადაში კურკოვნებზე (ალუჩა, ტყემალი, ჭერამი) აღინიშნოს კვირტების დაბერვაც და მოსალოდნელმა წაყინვებმა შეიძლება გამოიწვიოს მათი მცირე დაზიანება.

საშემოდგომო კულტურებიც ნელი ტემპით გააგრძელებს ვეგეტაციას და ამიტომ მოსალოდნელი ტემპერატურული რეჟიმი მათ განვითარებას ხელშემწყობ პირობებს შეუქმნის.

მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მარტში 40-60 პროცენტით მეტია თებერვალთან შედარებით.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის გათვალისწინებით საქართველოს მდინარეთა წყლიანობა მარტში ნავარაუდევია ნორმაზე დაბალი. გაზაფხულის წყალდიდობის დაწყება შესაძლებელია მარტის მესამე დეკადაში.

**ნიკოლოზ ბერაძე,**
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის თავმჯდომარე.




იყიდება სოფ. უჯარმასთან, ტბასთან ახლოს დასახლებულ აგარაკზე 2-სართულიანი კაპიტალური სახლი 10X8. გარშემო დახურული აივნით, ავეჯით და სამშენებლო მასალით. 1000 კვადრატული მეტრი. ყველანაირი მსხმოიარე ხეხილით, დიდი ტალავერით, შეიდტონიანი ავზით. წყალი და შუქი მუდმივად. საწყისი ფასი 8 ათასი ლარი. ტელ: 30-12-41, 30-23-18, მზია.

იყიდება 3,5-ოთახიანი ბინა ყიფშიძის ქუჩაზე, ნაწილობრივ სარემონტო. მაღალ ბელეტაჟზე (120 კვ/მ). 2 საგარაჟე ადგილით, ტელეფონით. ფასი 35 000 დოლარი. ტელ: 23-58-89

იყიდება დიღმის მასივის III კვარტალში (დიღუბის ხიდთან) ერთოთახიანი ბინა გადაკეთებული ოთახნახევრიანად. ტელეფონით, სარდაფით, მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 22-20-22.

ვაქირავებ ქალაქის ცენტრში, ლერმონტოვის ქუჩაზე 300 კვ. მ. ფართობის გარემონტებულ ნახევრადსარდაფს ტელეფონით ოფისისათვის, საწყობისათვის ან სხვა დანიშნულების ობიექტისათვის. დარეკეთ: 92-09-48, საღამოს საათებში.

იყიდება ბინა ნაძალადევში, გადასასვლელ ხიდთან. ჩოლოყაშვილის ქ. 62-ში, ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე. საერთო ფართი 39 კვ.მ. დამხმარე სათავსოთი 9 კვ.მ. ტელ.: 66-60-05. ფასი შეთანხმებით.

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი (საერთო ფართი 107 კვ. მ.) კეთილმოწყობილი ბინა. მუდმივად ცხელი და ცივი წყლით, სარდაფით და ტელეფონით. 5-სართულიანი სახლის III სართულზე, დელისის მეტროსთან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-47-96.

იყიდება სამოთახიანი ბინა ვაკეში, ყიფშიძის ქუჩა № 8, 12-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, საშუალო რემონტით, ტელეფონით, სარდაფით, გარაჟით ორი მანქანისათვის და გარაჟის ქვეშ სარდაფით 12 კვ. მ. ბინის საერთო ფართია 100 კვ. მ. ტელეფონი: 29-34-11.

იყიდება ხუთოთახიანი, არასტანდარტული პროექტის, ახლადაშენებული ბინა, ატენის ქუჩაზე, ვაკეში (დარჩენილია სამღებრო სამუშაოები). ბინა თვრამეტსართულიანი სახლის მე-9 სართულზეა, 220 კვ. მ. საერთო ფართით. ფასი 120.000 დოლარი. ტელ: 99-72-18; 34-16-07, ბიჭიკო.

იყიდება პრივატიზებული ბინა, მე-2 სართულზე, ხუთი ოთახით. აქვს სააბაზანო, ორი ტუალეტი, ეზოს მხარეს შემინული ლოჯია. პირველ სართულზე ორი ოთახია. ტელ: 99-62-59, ირაკლი. მისამართი: მთაწმინდა, ყიფიანის 7, ფასი შეთანხმებით.

ვყიდი ერთოთახიან იზოლირებულ ბინას, მე-2 ან მე-3 სართულზე. გარეუბანი არ შემომთავაზოთ. თვითონ ვყიდი როიალს და სხვა ოჯახის ნივთებს. ტელ: 99-68-42.

იყიდება ოროთახიანი,ულოჯო, კუთხის ბინა ხუთსართულიანი სახლის მე-3 სართულზე, აბაზანა და ტუალეტი კაფელითაა მოპირკეთებული. აქვს აივანი, მანქანის სადგომი ადგილი. ფასი 16 ათასი დოლარი. ტელ: 95-50-55, 36-41-23, 37-52-76, როსტომი.

იყიდება სამოთახიანი, სტანდარტული ბინა ორი ღია აივნით, ტელეფონით, დოლიძის ქუჩის მე-13 კორპუსში, მე-2 სადარბაზოს მე-7 სართულზე. ფასი 30000 დოლარი. ტელ. 36-41-23.

იყიდება აგურის კერძო სახლი ბელეტაჟზე. ზემოთ ხუთი ოთახია, ქვემოთ სარდაფები და მიწის ნაკვეთი 4000 კვ. მ. ხეხილით. მისამართი: გორის რაიონი, სოფელი ბერბუკი. ფასი 20 ათასი ლარი. ტელეფონი თბილისში: 37-00-94, ოთარი.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ბახტრიონის ქუჩაზე, მე-3 სართულზე, ბუნებრივი წყლით და ტელეფონით. ტელ: 30-06-43.

იყიდება ერთოთახიანი ბინა მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", კაპიტალური რემონტით, რკინის კარებით, ლოჯიით, აივნით, სარდაფით, ჩაშენებული კარადებით, 8-სართულიანი სახლის მე-2 სართულზე. ტელეფონი: 38-65-03.

იყიდება ოროთახიანი, პრივატიზებული, იზოლირებული, სუფთა ბინა ფართო სამზარეულოთი. ტუალეტი და აბაზანა ცალ-ცალკეა. ბინა არის სარდაფით, მანქანის გასაჩერებელი ადგილით. გარემონტებულია, არის პარკეტი, ნათელი ოთახებია. ფასი 18.000 დოლარი. ტელ: 95-37-97, ლია. მისამართი. ჩუბინაშვილის (ყოფილი ორჯონიკიძის) ქ. № 12 .

ვაქირავებ ერთოთახიან ბინას ავეჯით, ტელეფონით იოსებიძის ქუჩაზე (საბურთალოს ბაზართან). ფასი შეთანხმებით. ტელ: 37-74-14, ნელი.

იყიდება სამსართულიანი, გარემონტებული ბინა 1500 კვ.მ. ხეხილიანი ნაკვეთით სოფელ დიღომში. ტელ: 95-32-69 (სამსახური), კენჭოშვილი თემური.

იყიდება ორსართულიანი, გარემონტებული ბინა, ორი სათბურით (თითოეულის ფართია 200 კვ.მ.), გარაჟით, საკუთარი გათბობით, დიდი სათავსოებით. ტელ: 95-32-69, კენჭოშვილი თემური.

ქირავდება სამოთახიანი, კარგად გარემონტებული, იზოლირებული ბინა ავეჯით გმირთა მოედანთან, თერთმეტსართულიან სახლში. ტელ: 36-49-91. ფასი შეთანხმებით.

იყიდება არასტანდარტული პროექტის ოროთახიანი ბინა გადაკეთებული სამ ოთახად. ბინა არის დოლიძის ქუჩაზე. ფართი 90 კვ.მ. აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ორი აივანი. ტელ: 34-29-27, ნორა.

იყიდება ოროთახიანი ბინა შუშაბანდით, სამზარეულოთი და აბაზანით. მისამართი: გრიბოედოვის 15. ტელ: 99-73-48, ანია.

იყიდება სამოთახიანი, გარემონტებული ბინა ნუცუბიძის მე-2 მ.რ. მე-2 კვ. მე-11 კორპ. მე-3 სართულზე, ბინა 10. ფასი შეთანხმებით: ტელ: 31-14-59, მაია გაბუნია.

იყიდება ოთხოთახიანი, ჩეხური პროექტის, კეთილმოწყობილი, გარემონტებული ბინა დიღუბის ეკლესიასთან ცხრასართულიანი კორპუსის მე-8 სართულზე. აქვს გარაჟი და გარემონტებული სარდაფი, ბინაში ავტონომიური სიგნალიზაციაა. ტელ: 96-86-17.

იყიდება ან ქირავდება ვაკის პარკთან ახლოს, ციციან ტაბიძის ქუჩის № 39-ში ერთოთახიანი ბინა მე-3 სართულზე. უშენდება დიდი შუშაბანდი, რომელიც მეორე ოთახადაც გამოდგება. დარეკეთ ტელ: 34-73-54, საღამოს.

იყიდება ვაშლიჯვარში ოროთახიანი ბინა მე-2 ზონაში, ცხრასართულიანი სახლის მე-2 სართულზე. აქვს რკინის კარები, სათავსოები და გარემონტებულია. ან იცვლება შესაბამის ფართზე, გარემონტებულ ბინაზე, მეტრო ახმეტელთან ან მუხიანში. ტელ: 95-06-03.

იყიდება სასწრაფოდ სამოთახიანი, იზოლირებული ბინა მეტრო „წერეთელთან",ოთხსართულიანი აგურის სახლის მე-4 სართულზე. საერთო ფართი 85 კვ. მ. ჭერი 3 მ. 10 სმ. ლოჯიით, სარდაფით, ტელეფონით, მაღალი სხვენით, ავტომანქანის ადგილით. ფასი 20.000 დოლარი. ტელ: 96-60-33.

## სხვადასხვა

ვყიდი არაბულ ახალ სამეულს – დივნით და ორი სავარძლით. ფერი მუქია. ფასი 1000 დოლარი. ტელ: 61-25-48, 61-11-39.

ვყიდი ახალ, რუსეთის გამოშვების ელექტროგენერატორს. ორკილოვატიანი სიმძლავრისაა. ფასი 500 დოლარი. ტელ: 95-50-55, 36-41-23, 37-52-76, როსტომი.

ვყიდი ორპედლიან პიანინო „პეტროფს". კარგ მდგომარეობაშია. ფასი 900 ლარი. ტელ: 74-37-98, ქუქუნა.

იყიდება ავტოფარეხი ორმოთი მაღაზია „ორბიტასთან" (პეკინის 20). ფასი 3.900 ლარი. ტელ: 37-38-49, 95-26-85.

იყიდება 300 ლიტრი ტევადობის ქარხნული წესით დამზადებული უჟანგავი ფოლადის კასრები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნენ ნებისმიერი სითხისათვის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-84-83.

იყიდება მუშა მდგომარეობაში




მყოფი, ლიცენზირებული და ყველანაირად გამართული ძეხვისა და სოსისის საკუთარი წარმოება, თავისი ლაბორატორიით ქალაქის ცენტრალურ უბანში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-84-83.

იაფად იყიდება არაბული გასაშლელი სამეული, ირანული ტახტი ოთხი სავარძლით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 96-69-75.

იყიდება 1990 წელს გამოშვებული სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც გარბენილი აქვს 10 000 კილომეტრი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 73-94-15 ან 39-85-30.

იყიდება უნიკალური ტერფსაფენი, რომელიც იცავს ფეხს ოფლისაგან, დაღლილობისაგან, არასასიამოვნო სუნისაგან, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს მეხსიერებას... ტერფსაფენი იყიდება მაღაზია „გოლიათის" გვერდით მდებარე აფთიაქში, გამსახურდიას გამზირი, 24.

იყიდება ახალი საქსოვი მანქანა, ფასი 200 ლარი. მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-6 კვ. 34-ე კორპ. ბინა 6. ტელ: 30-10-04.

ვამზადებ ინგლისურ ენაში მოწაფეებს, სტუდენტებს და ასპირანტურაში შემსვლელებს, გამონაკლის შემთხვევაში ბინაში მისვლით, შეღავათიანი პირობებით. მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელ: 37-11-62, დილის 11 საათამდე ან 17 საათის შემდეგ. მარინე.

ვყიდი ოქსფორდის ინგლისურენოვან 1584 გვერდიან ლექსიკონს. ფასი 1000 დოლარი. ტელ: 29-14-81, ეკა.

## ავტომანქანები



იყიდება ავტომანქანა „ფორდსიერის" სათადარიგო ნაწილები. იყიდება ძრავაც. ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-59-20. ზაური.

იყიდება იკარუსის მარკის ავტობუსი 1992 წლის გამოშვება. საუკეთესო მდგომარეობაშია. ან იცვლება კამაზის ტიპის სატვირთო მანქანაზე. ტელ: 99-61-68, 34-80-18, 34-45-03, გივი.

შევიძენ უპასპორტო გაზ-24 მარკის ავტომობილს. ტელ. 29-38-88, გივი.

იყიდება ელექტრომემდულებელი მოტორ-გენერატორი (საკი) ვოლგის ახალ ძრავაზე თავისი ავტომისაბმელით. ფასი 1000 დოლარი. ტელ: 22-22-51, დათო, 38-17-99, თამაზი.

იყიდება ავტომობილი „ნისან-პატრული", 1992 წლის გამოშვება, სველი ასფალტისფერი, საჭიროებს კოსმეტიკურ და ძრავის შეკეთებას. ფასი 10000 დოლარი. ტელ: 60-60-43, 61-00-54, ზაური.

იყიდება სასწრაფოდ, შეღავათიან ფასად ავტომანქანა „ნივა" (გამოშვებულია 1989 წელს). იყიდება აგრეთვე ორფრთიანი რკინის კარები – სიმაღლე 2 მეტრი, სიგანე – 1 მეტრი და 10 სმ. აგრეთვე მცირე ზომის გერმანული ფიზჰარმონია. მიღებული აქვს მრავალი მედალი. ტელ: 31-23-39.

იყიდება ავტომანქანა „ფორდ-სიერა", რომელიც გამოშვებულია 1984 წელს. მანქანა თეთრი ფერისაა და ორკარიანია, ძრავის სიმძლავრე 1,6 მოცულობისაა. აქვს ყველა სათადარიგო ნაწილი, ფასი შეთანხმებით. ტელ: 31-59-20, 31-59-52, 31-93-79, ზაური, გურამი.

იყიდება „გაზ-69", ძალიან კარგ მდგომარეობაში, ახლად გაკეთებული ძრავითა და ხიდით, ფასი შეთანხმებით, ან იცვლება აგარაკზე. დარეკეთ: 95-19-53, დათო.

იყიდება „უაზი"- 471, უფანჯრებო, 1989 წლის გამოშვება, გარბენი 1000 კილომეტრი. ფასი 8000 დოლარი. ტელ: 93-37-86. მერაბი.

იყიდება ავტომანქანა „გაზ-53" მარკის ბენზინმზიდი, 4200 ლიტრის ტევადობის, კარგ ფორმაში. ფასი შეთანხმებით. ტელ: 78-58-89, საღამოს, გურამი.

იყიდება ავტომანქანა „ფიატ-კრომა", 1988 წლის გამოშვება. ფასი 5700 დოლარი. ტელ.: 96-74-75, გიორგი.

იყიდება ავტომანქანა „მულტიკარი" ახალი ძრავით, კარგ მდგომარეობაში. ტვირთამწეობა 2 ტონა. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 71-25-11.

ვყიდი შეღავათიან ფასებში ავტომანქანა „ვოლგა-21"-ის სათადარიგო ნაწილებს – კარებს, უკანა ფრთებს, კარნიზებს და სხვ. ტელ: 98-40-29.

იყიდება „ზილ-157", ახალი, სამხიდიანი მანქანა. ფასი 2000 დოლარი. მისამართი: ჩაპაევის 1 შესახვევი, № 11, ტელ: 66-70-98.

იყიდება ახალი ჩამოყვანილი, ძალიან კარგ მდგომარეობაში მყოფი მიკროავტობუსი „ფოლკსვაგენი". გავლილი აქვს 22000 კმ. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-22-46.



# ნოსტალგია
## „მტკვრისპირელ გარინჩაზე“

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება და საფეხბურთო კარიერა გაჭრილი ვაშლივით წააგავს ერთმანეთს. 1933 წლის 18 ოქტომბერს, შორეულ ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროდან 80 კილომეტრის დაშორებით, პატარა ქალაქ პაუ-გრანდეს მკვიდრს ამარო ფრანცისკო დოს სანტოსს, რომელიც ქარხანა „ამერიკა ფაბრილის“ მთავარი ყარაული იყო, ფეხმოქცეული ვაჟი შეეძინა. ამარომ პირმშოს მანუელი დაარქვა.

1937 წლის 12 ივნისს განთიადისას „ნაძალადევში“ თოფმა იგრიალა შალვა მესხის პატარა ეზოში. ასე აღნიშნა აღტაცებულმა მამამ ვაჟის დაბადება, რომელსაც მიხეილი დაარქვა. პატარას თავდავიწყებით უყვარდა ფეხბურთი. საგულისხმოა, რომ არც ამარო ფრანცისკო დოს სანტოსმა და არც შალვა მესხმა არ იცოდნენ, რომ მათი ვაჟიშვილები ბრწყინვალე ფურცელს ჩაწერდნენ მსოფლიო სპორტის ისტორიაში. არც ამარო და შალვა არ იცნობდნენ ერთმანეთს. სამაგიეროდ მანუელ ფრანცისკო დოს სანტოსი (შემდეგ გარინჩად მონათლული) და მიხეილ მესხი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. მათი დამეგობრების მთავარი მიზეზი კი ტყავის ბურთი გახლდათ, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველა პატარას, ბრაზილიასა თუ საქართველოში. მიშა მესხის უბნელებს მასთან თამაშის სურვილი ჰქონდათ, რადგან ეს გუნდი სისტემატურად იმარჯვებდა. ასე იყო შორეულ ბრაზილიაშიც, როცა 14 წლის გარინჩა მცირე საფეხბურთო შოუ-სპექტაკლს დგამდა პაუ-გრანდეს „ამერიკა ფაბრილის“ პატარა სტადიონზე. მანეს (შემოკლებული სახელი) პარტნიორები სვინგე და პინსელი ბრწყინვალედ იყენებდნენ ხეიბარი გარემარბის უზუსტეს ფლანგურ გადაცემებს. ასეთივე თვისებებით გამოირჩეოდა ქართული ფეხბურთის ლეგენდა — მიშა მესხიც, რომლის უზუსტესი პასები ყოველთვის პოულობდა ადრესატს.

21 წლის მიხეილ მესხი რაჭული მოთმინებით ეჯაჯგურებოდა „მშობლიური ნაკრებისა“ და კლუბის ძირითადი შემადგენლობის კარს. მისი უბადლო ნიჭის თაყვანისმცემლებს უსამართლობადაც კი მიგვაჩნდა, რომ თვითმყოფადი ტალანტი ჯერაც არ ატარებდა ნაკრების წითელ მაისურს. 1959 წელს თბილისის „დინამოს“ მწვრთნელად ქართული ფეხბურთის პატრიარქი ანდრო ჟორდანია დანიშნეს. გამოცდილმა პედაგოგმა ძირითად შემადგენლობაში მწვანე გზა გაუხსნა მომავალ დიდოსტატებს — მიშა მესხს, ვლადიმერ ბარქაიას, გიორგი სიჭინავას, შოთა იამანიძეს და სხვებს. შედეგმაც არ დააყოვნა — „დინამომ“ იმავე წელს ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. 1959 წელი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ მიშა მესხის ტრიუმფული ამაღლების დაწყების ხანად.

ფეხზე მდგომი ხალხით გადაჭედილი „ქარიშხალას“ სტადიონი მაგონდება, როცა ურუგვაის პროფესიული კლუბის „ნასიონალის“ მოთამაშეებმა მხრებზე შესმული მიხეილ მესხი ჩამოატარეს ტრიბუნების წინ. ეს იყო 1969 წლის 15 ივლისის გამოსათხოვარი მატჩი, როცა დიდი მიშა მესხი ფეხბურთიდან „გააცილეს“. ტრიბუნებზე ძველებურად გაისმოდა შეძახილები — მესხი, მესხი, მესხი. თითოეული ჩვენგანი ტიროდა, რადგან დიდ ფეხბურთს ეთხოვებოდა ადამიანი, რომელიც ზღვა სიხარულს, ენით აუწერელ სიამოვნებას გვანიჭებდა.

ვიხსენებ 1983 წლის 22 იანვარსაც. დილით ადრე ტაქსი დავიჭირე და დიღომში „ავაზას“ სკოლის დირექტორს მიშა მესხს ვეწვიე. ოთახში ჩუმად შევედი, მიშა საწერ მაგიდასთან იჯდა. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე და ხარბად გავაბოლე. მასპინძელმა თვალებში ჩამხედა და სევდიანად გამიღიმა:

— შენ რაღაცა გაწუხებს, მითხარი, მოხდა რამე?

— გუშინ რიო დე-ჟანეიროში გარინჩა გარდაიცვალა! — ძლივს ამოვღერღე. შევატყვე, რომ ცუდ ხასიათზე დააყენა ჩემმა ნათქვამმა. ოთახში გაიარ-გამოიარა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— სახლში უნდა გამომყვე, თითო ჭიქით მესანდობარი დავლიოთ, ჩვენ ხომ ორივეს გვიყვარდა იგი. მალე სოფელ დიღომში, მიშას სახლში გავჩნდით. მასპინძელი წამით სადღაც გაუჩინარდა. მეზობელი ოთახიდან სქელ მუყაოზე გადაკრული, საკმაოდ მოზრდილი, გარინჩასთან ლუჟნიკებში 1965 წელს გადაღებული ფოტოსურათი გამოიტანა, ჩვენი სუფრის წინ სკამზე მიაყუდა და დიდხანს ჩუმად უცქერდა მას. შემდეგ კარადიდან განსხვავებული სასმისი გამოიღო. ორივემ ჩუმად შევსვით. იგი ისევ ფოტოსურათს მიუბრუნდა და ოდნავ გასაგონი ხმით, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა — მეც შენნაირი ბედი მელის, ჩემო მანე!

ჩვენდა სამწუხაროდ, ასეც მოხდა. ულმობელმა სიკვდილმა არც „მტკვრისპირელი გარინჩა“ დატოვა ეულად. მისმა გარდაცვალებამ, გარინჩას მსგავსად, დიდად დაამწუხრა უამრავი ადამიანი. მანუელის ცხედარი ერთ დღეს ესვენა „მარაკანას“ სტადიონზე, სადაც მას ძეგლიც აუგეს. მიშა მესხიც საბურთალოს პანთეონში „დინამოს“ სტადიონიდან გაასვენეს. შორეულ პაუ-გრანდეში გარინჩას საფლავს აწერია ორი სიტყვა — მანუელ გარინჩა. თბილისის პანთეონში გრანიტის შავ ფილასაც ორად-ორი სიტყვა — მიშა მესხი აწერია. მშვიდად განისვენებენ მშობლიური ქვეყნის მიწაში ფეხბურთის გენიოსები მიხეილ მესხი და მანე გარინჩა, რომელთა ცხოვრება მწარე და სასიამოვნო მოგონებებს იწვევს თითოეულ ჩვენგანში.

**შალვა ქირია,**
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.

სურათზე: მიხეილ მესხი და გარინჩა. ფოტო გადაღებულია 1965 წლის 4 ივლისს მოსკოვში.

## კალათბურთი
# 16 რჩეული — ცნობილია

გამოვლინდა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის თექვსმეტივე მონაწილე. გთავაზობთ შესარჩევი ტურნირის დასკვნითი მატჩების შედეგებს.

„ა“ ჯგუფი

სლოვაკეთი-ბოსნია 87:108, ბელარუსი-ისრაელი 57:65, საქართველო-საბერძნეთი 61:65.

საბერძნეთი — 19, ბოსნია — 17, ისრაელი — 16 ქულა.

„ბ“ ჯგუფი

ლატვია-ესტონეთი 85:74, პორტუგალია-გერმანია 66:73, ინგლისი-რუსეთი 79:81.

რუსეთი — 20, ლატვია — 17, გერმანია — 17 ქულა.

„გ“ ჯგუფი

ჩეხეთი-ფინეთი 99:75, უნგრეთი-სლოვენია 62:67, მაკედონია-იტალია 84:105.

იტალია — 19, სლოვენია — 17 ქულა.

„დ“ ჯგუფი

უკრაინა-ბულგარეთი 79:60, ჰოლანდია-თურქეთი 63:73, რუმინეთი-ხორვატია 65:108.

უკრაინა — 18, ხორვატია — 17, თურქეთი — 17 ქულა.

„ე“ ჯგუფი

ბელგია-შვედეთი 78:79, პოლონეთი-საფრანგეთი 73:89, შვეიცარია-ლიტვა 62:118.

საფრანგეთი — 20, ლიტვა — 16, პოლონეთი — 15 ქულა.

დასახელებულ გუნდებს ფინალურ სტადიაში დაემატებიან ასპარეზობის მასპინძელი — ესპანეთი და კონტინენტის ამჟამინდელი ჩემპიონი — იუგოსლავია.

# სამარანჩი რჩება?

მას ივლისში 77 წელი შეუსრულდება. ბევრი ფიქრობდა და ფიქრობს, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის უკვე საკმაოდ ხანდაზმული პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი უარს იტყვის თავის პოსტზე, მაგრამ როგორც თვით პრეზიდენტმა შვეიცარიის რადიოს განუცხადა, ის კვლავ აპირებს კენჭი იყაროს სოკ-ის ხელმძღვანელის თანამდებობაზე.

მართალია, მან ისიც დასძინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ მიიღებს, როცა გაეცნობა სამედიცინო გამოკვლევების შედეგებს. „მე მიყვარს ჩემი სამუშაო და, ვიდრე ჯანმრთელობა ამის საშუალებას მომცემს, მინდა გავაგრძელო ოლიმპიური მოძრაობის ხელმძღვანელობა“.

შეგახსენებთ, რომ სამარანჩი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავკაცი 1980 წელს გახდა და მას შემდეგ ორჯერ გადაირჩიეს. ახლა შემდეგი ოთხწლიანი მანდატი ესპანელმა მარკიზმა შეიძლება მიიღოს სოკ-ის 106-ე სესიაზე, რომელიც წლეულს 2-6 სექტემბერს გაიმართება ლოზანაში.

## ფეხბურთი

### „შტაბი“ დაკომპლექტდა

ამ დღეებში საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა დაასახელა გუნდის „შტაბისა“ და თანამშრომელთა ვინაობა.

მეორე მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილსა და მეკარეთა შეფს ოთარ გაბელიას დაემატნენ მწვრთნელი გია გეგუჩაძე, ექიმი დიმიტრი ზაალიშვილი, მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი და ადმინისტრატორი გია იმნაძე.

მალე დაინიშნება ნაკრების უფროსიც.

# ვინ ითამაშებს „ინტერტოტოზე?“
## საქართველოს 1 გუნდის გამოყვანა შეუძლია

საბოლოოდ გადაწყდა წარმომადგენლობითი ნორმები იმ ქვეყნებისათვის, ვინც ფეხბურთში „ინტერტოტოს თასის“ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც გამოირკვა, ტურნირი ივნისის ბოლოს დაიწყება და მასში 33 ქვეყნის 60 კლუბი ჩაებმება. როგორც უეფა-ს პრეს-სამსახურის ცნობაშია ნათქვამი, — „ინტერტოტოს თასის“ გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი თქვა 9 ქვეყნის ფედერაციამ — იტალიამ, ესპანეთმა, ინგლისმა, პორტუგალიამ, შოტლანდიამ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა, ალბანეთმა და ლუქსემბურგმა. გერმანია ტურნირში ჩაებმება, მაგრამ „ბაიერნმა“, „ბორუსიამ“, „ფრაიბურგმა“ და კიდევ სამმა გუნდმა წინასწარ განაცხადეს გათამაშებაში თამაშზე უარი, ვინაიდან მასში მონაწილეობა მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ.

ადგილების განაწილება მოხდა უეფა-ს რეიტინგის შესაბამისად. ტურნირში 4 კლუბს წარმოადგენენ საფრანგეთი, გერმანია და ბელგია; 3-3 კლუბს — რუსეთი, თურქეთი, ავსტრია, იუგოსლავია, დანია. 2-2 კლუბის წარდგენის უფლება მიეცათ ჰოლანდიას, საბერძნეთს, შვედეთს, შვეიცარიას, პოლონეთს, რუმინეთს, ნორვეგიასა და ისრაელს. და ბოლოს, თითო-თითო კლუბი ეყოლებათ ტურნირში უნგრეთს, ხორვატიას, კვიპროსს, საქართველოს, ისლანდიას, ლატვიას, ფინეთს, სლოვაკეთს, სლოვენიას, ბულგარეთს, ჩეხეთს, უელსს, ჩრდილოეთ ირლანდიას, ბელარუსს, მალტასა და ლიტვას.

ხუთი ფედერაციის — ფარერის კუნძულების, სომხეთის, მაკედონიის, მოლდოვასა და ესტონეთის — მონაწილეობაზე უეფა-მ უარი თქვა, თუმცა მათი კლუბები „მარაგში“ დატოვეს და თუ რომელიმე სხვა ქვეყანა უარს იტყვის მონაწილეობაზე, მაშინ ისინი დაიშვებიან. ეს კი 11 აპრილს გაირკვევა, როცა მოეწყობა გუნდების კენჭისყრა. შეიქმნება 12 ჯგუფი, პირველი მატჩები 21-22 ივნისს ჩატარდება. ჯგუფებში გამარჯვებულთა ტურნირი 26-27 და 30 ივლისსაა დანიშნული, ხოლო ფინალური მატჩები, რომლებიც განსაზღვრავენ 3 ლაურეატს, 12 და 26 აგვისტოს გაიმართება. ლაურეატებს კი უეფა-ს თასის გათამაშებაზე დაუშვებენ.

ალბათ, მალე შევიტყობთ, თუ რომელი გუნდით წარსდგება საქართველო „ინტერტოტოზე“.



სადავო მომენტი. ჯავარ ლომაძის ფოტო.

### „ბუნება მბრძანებელია“

გუშინ ზუგდიდის „ოდიშისა“ და თბილისის „დინამოს“ პირველი წრიდან გადმოტანილი მატჩით საქართველოში ახალი საფეხბურთო სეზონი უნდა დაწყებულიყო.

როგორც ზუგდიდიდან გვაცნობეს, უამინდობის გამო შეხვედრა კვლავ გადაიდო.

## გვეკითხებიან – ვუპასუხებთ

*როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერსა და აშშ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტს „რკინის ლედის“ უწოდებენ. საიდან მომდინარეობს ეს გამოთქმა?*

ვ. პაპიძე, შ. კუპრეიშვილი, თბილისი.

„რკინის ლედი“ მართო ძლიერი, მტკიცე, ნებისყოფიანი ქალი როდია. შუა საუკუნეთა ინკვიზიციის ეპოქაში „რკინის ლედი (ქალწული)“ იყო წამებისა და სიკვდილით დასჯის იარაღი – რკინის კარადა მეთექვსმეტე საუკუნის მოდურ კოსტიუმში გამოწყობილი პარიზელი ქალის სახით. როცა პატიმარს მოსამართლენი ამ „კოსტიუმს“ ჩააცმევდნენ, მაგრად უჭერდნენ საჭიმებს. „ქალწულის“ მკერდისა და ხელების შიდა ზედაპირზე დამაგრებული ბასრი და გრძელი ლურსმნები ნელ-ნელა ერჭობოდა განსასჯელის (მეტწილად ერეტიკოსების) სხეულს და განუზომელ ტკივილს აყენებდა, შემდეგ კი განჯვით კლავდა. მერე კარადის მოძრავი ფსკერი ეშვებოდა, დასჯილის ტანი წყალში ვარდებოდა და დინებას მიჰყვებოდა.

მაგრამ „რკინის ლედის“ სახელწოდება დასაბამს იღებს უფრო ადრე – უძველესი დროიდან. როგორც ძველი ცნობილი ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და მწერლები, მაგალითად, ლივიუსი, პოლიბიუსი, დიოდორი, პავსანიუსი და სხვები წერდნენ, სპარტელი ტირანი ნაბისი, ძველი წელთაღრიცხვის 206-192 წლებიდან სპარტის გამგებელი, იყო დასჯის ამგვარი ხერხის პირველი გამომგონებელი. მის მიერ შექმნილ აპარატს სავარძელში მჯდომი ქალის სახე ჰქონდა და ეწოდებოდა აპოგა, ხალხში კი „რკინის ქალწული“, ტირანის ცოლის სახელის მიხედვით. მსჯავრდებულის მიახლოებასთან ერთად „ქალწული“ ფეხზე დგებოდა, ზურგზე ხვევდა ორივე ხელს, რომლებიც, ისევე როგორც მკერდი, დაფარული იყო ლურსმნებით. ისინი ნაწილ-ნაწილ გლეჯდნენ სხეულს. დაქუცმაცებულ სხეულს ძაღლებს უყრიდნენ შესაჭმელად. უძველესი და საშუალო საუკუნეთა ქრონიკებში მოხსენიებულია თვით მთელი რიგი ბოროტმოქმედების სახელები, რომლებიც ასეთი წამების შედეგად დაიღუპნენ. თავად ნაბისი მოკლეს ეტოლებმა (შუა საბერძნეთის ოლქის მცხოვრებლებმა), რომლებსაც გადაეწყვიტათ ხელთ ეგდოთ ელინთა ქალაქები სპარტა, ქალკიდი და დიმიტრიადოსი.

მხოლოდ ისღა დაგვრჩენია დავუმატოთ, რომ თუ ნაბისის ავტომატს მისი ცოლის აპოგას სახე ჰქონდა, ესპანური ინკვიზიციის ავტომატი, საიდანაც წამოვიდა „რკინის ლედის“ სახელწოდება, ღვთისმშობელი მარიამის გამოსახულებისა იყო.

**რემ დავითოვი.**

1997 წლის 7-10 აპრილს მშენებლობასთან დაკავშირებულ ყველა ფირმას ვიწვევთ მონაწილეობის მისაღებად საერთაშორისო სამშენებლო გამოფენაში **CaucasusBau**. გამოფენის ორგანიზატორები არიან გერმანული ფირმა **PRIMUS Balticum**“ და „გამოფენების ცენტრი“ **EXPO GEORGIA**.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ:

გერმანია
**PRIMUS Balticum Messeges, mbH Waldstrasse 56-58, D-84056 Rottenburg/I**
**Tel: +49/8781/94 02-0, FAX: 08781/92 02 40**

საქართველო/თბილისი
**EXPO GEORGIA**
ა. წერეთლის 118
ტელ: 997439 ფაქსი: 958306.

## ბრალი ედებათ

### ამზადებდა ფალსიფიცირებულ სასმელს

ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და კორუფციასთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის შედეგად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობისა და ფალსიფიცირებული პროდუქციის დამზადებისთვის ამხილეს ვეკუას ქუჩა № 10-ში მდებარე ალკოჰოლური სასმელების დამამზადებელი ინდივიდუალური საწარმო „ილია იმერლიშვილის“ საამქროს უფროსი დავით კაკალაშვილი და ამავე საწარმოს დამფუძნებელი ილია იმერლიშვილი.

ისინი უნებართვოდ და ულიცენზიოდ საქმიანობდნენ და ჰყიდდნენ არაყს „სტოლიჩნაია ვოდკა“.

შემოწმებით დადგინდა, რომ წარმოებული პროდუქცია არ შეესაბამება სტანდარტებისა და ტექნოლოგიური ინსტრუქციების მოთხოვნებს.

### დააკავეს ფოსტის უფროსი

27 თებერვალს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქართველოს ფოსტის“ კასპის ფილიალის უფროსი ნანული მელაძე.

მას ბრალად ედება სოფელ ახალქალაქის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსთან ელენე თოიძესთან ერთად საპენსიო დოკუმენტების გაყალბების გზით 1050 ლარის მითვისება.

საქმეს იძიებს შიდა ქართლის პროკურატურა.

საქინფორმი.

## განცხადება

**საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს განზრახული აქვს კახეთისა და რაჭის სატელეფონო ქსელების მოდერნიზაცია-გაფართოებისთვის ა/წ აპრილში მოაწყოს კონკურსი.**

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (მათ შორის უცხოელებს) წინასწარი პროექტების შესადგენად საჭირო ინფორმაციის მიღება შეუძლიათ შემდეგი მისამართით:

380008 თბილისი, 9 აპრილის ქ. №2
ტელ: 995599 ან 9311-05
ფაქსი: 001055 ან 934540

წინასწარი პროექტების მიღება და განხილვა იწარმოებს ა/წ 31 მარტამდე.

კონკურსის მოწყობის თარიღი გამოქვეყნდება აპრილის დასაწყისში.

## კროსვორდი



თარაზულად: 5. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი. 6. აგატა კრისტის ნაწარმოების პერსონაჟი. 9. ფერწერა გარეთ, ღია ცის ქვეშ, ჰაერზე. 10. დუშეთის რაიონის სოფელი. 14. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისთვის. 15. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგია მსოფლიოში. 16. ბიბლიური პერსონაჟი, ადამის მეორე ვაჟი, მწყემსი. 17. მზის ვარშემო მბრუნავი ციური სხეული, რომელიც არეკლილი მზის შუქით ანათებს. 19. ფრანგი კინომსახიობი ქალი. 20. საზღაური. 25. სახლის მიშენებული ღია ან მომინული აივანი. 26. ვისიმე ან რისამე თანმხლები სამხედრო დაცვა. 27. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 29. ძველი ბერძნული ქალაქი-სახელმწიფო. 31. ფიზიკური ვარჯიში. 32. მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას. 33. სახელმწიფო მცირე ანტილის კუნძულთა ჯგუფში. 34. ბორცვი იერუსალიმში. 35. წელთაღრიცხვის სისტემა.

შვეულად: 1. ფარული დაცინვა. 2. ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები. 3. რაინდთა საბრძოლო ასპარეზობა შუა საუკუნეებში. 4. საფრანგეთის ფულის ერთეული. 7. ფრანგი კინორეჟისორი. 8. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი. 11. მაღალხარისხოვანი მინა. 12. წარდგენა, წარმოდგენა. 13. ძველ ეგვიპტელთა ღვთაება, ქ. თებეს მფარველი. 18. ჯარი. 19. ამბის მომტანი, რისამე მაუწყებელი. 21. კორეული კარატე. 22. მაჰმადიანთა დღესასწაული. 23. იუგოსლავიის ქალაქი სადაც 1978 წ. გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ჭადრაკში. 24. ზოგი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული თვითმმართველობის მქონე სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული. 27. საჯარისო შენაერთი ძველ რომში. 28. კომედიის ხასიათის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები, რომელშიც სიმღერები, ცეკვები და ლაპარაკი ენაცვლება ერთმანეთს. 30. ვ. ყუშიტაშვილისა და შ. დიულენის მიერ დაარსებული ფრანგული თეატრი პარიზში. 31. გამხმარი და დაფშვნილი მწვანილეული.

23 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. კორეა. 8. დელიქტი. 9. ხარკი. 12. პრეამბულა. 13. ტრიბუნალი. 15. ბალი. 16. პუარე. 17. ალტი. 20. სობინოვი. 22. ინტერვიუ. 24. თამარაშვილი. 27. ლიგროინი. 29. პუანსონი. 30. სვია. 32. სალდო. 33. იზაი. 36. პლანტაცია. 37. ბუმერანგი. 38. ატრია. 39. დიქტატი. 40. ტიტრი.

შვეულად: 1. გოგრა. 2. რეპარაცია. 3. შეზლონგი. 4. სტარტერი. 5. გარნიტური. 6. სკოლა. 10. ებლი. 11. აბრა. 14. ბარათაშვილი. 18. ნოვაცია. 19. ფირმანი. 21. ოპალი. 23. ტოლჩა. 25. პრევენცია. 26. ესკალაცია. 28. იუსტიცია. 29. პროდუქტი. 31. აბაი. 33. იდეა. 34. პლატო. 35. ეგერი.

## ხსოვნა

### ალექსანდრა ჯიქია



ქართულმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ საგრძნობი დანაკლისი განიცადა – 86 წლისა გარდაიცვალა საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ ყოფილი მთავარი სპეციალისტი, უხუცესი არქიტექტორი, ქალბატონი ალექსანდრა კონსტანტინეს ასული ჯიქია.

წავიდა ჩვენგან ღირსეული მოქალაქე, ყველასთვის პატივსაცემი პიროვნება, თბილი, სიკეთით სავსე, შესანიშნავი დედა, შვილიშვილების და შვილთაშვილების აღმზრდელი. იგი ყველა ჩვენგანის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა.

30-იანი წლებიდან მოყოლებული 1968 წლამდე ქალაქპროექტსა და საქწყალპროექტში მუშაობის პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დაპროექტდა და აშენდა მრავალი საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული ნაგებობა, როგორც ქალაქ თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქალბატონ ალექსანდრას წყალთა მეურნეობისა და მელიორაციული ობიექტების – კოლხეთის ათვისების, ტირიფონის, მუხრანის, ზემო და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების არქიტექტურული ნაწილის პროექტირება-მშენებლობაში.

ქალბატონ ალექსანდრას ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრების, ახლობლებისა და კოლეგების გულში.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენო საყვარელო ქალბატონო ალექსანდრა.

საძირკველი დაგიმკვიდრდეს და ნათელი დაადგეს შენს საფლავს.

ინსტიტუტ „საქწყალპროექტის“ დირექცია.

დედა ეკატერინე, მეუღლე ადა კაპანაძე, შვილები დათო, ეკა, ძმა გრიგოლი, რძალი მანანა შავგულიძე, ძმიშვილები ნინო, ირაკლი, სიღედრი თამარი, ბიძები აბელ გაფრინდაშვილი, გოგი შავგულიძე, მამიდა ელენე გაფრინდაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თორნიკე გრიგოლის ძე გაფრინდაშვილი

პანაშვიდი 4, 5 III. 4 ს. გამოსვენება 6.III. 3 ს.
მისამართი: ბარნოვის ქ. 41.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 4 მარტს.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ბოჭიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორი
არჩილ მანჯგალაძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.